ჯარის

№ 5

მეთაური—საბჭოთა მეორე ყრილობა.
ი. გედევანიშვილი—რა იყო და რა მოხდა.
სანდრო ეული—ჩათახის ქარხანა.
*** —ვალერი ბრიუსოვი.
ვ. გაფრინდაშვილი—ვ. ბრიუსოვის ლექსები: ხანჯალი, სალამო, ქალაქს, პედნიერებს და ქალატოზი.
პ. სამსონიძე—ერთი მრავალთაგანი.
ემ. ვერჰარნ—ბანკირი.
ვ. ბ.—მ. თოიძის სამხ. სტუდია.
შ. რადიანი—ე. გროსს.
დ. კლდიაშვილი—საფაროვ-აბაშიძისა.
ძველი—გიგო ხეჩუაშვილი.
ი. გედევანიშვილი—ნააზრევი.
*** მუსიკა საქართველოში.
ნარკანი—ქანდაკება.
ვ. ბ.—მუსიკალური ტეხნიკუმი ქუთაისში.
ბიბლიოგრაფია, კარიკატურები და ილიუსტრაცია.

დაიბეჭდა 1924 წ-ლ და გამოვიდა

კედლის კალენდარი და მოძრავი კალენდარი

გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობისა

შედგენილი პ. ი. ზუმბაძისა.

კალენდარში შეტანილია: სამეცნიერო საეკონომიო სავაჭრონაო სამხატვრო და სალიტერატურო მასალები

კალენდარი სუფთად და მხატვრულადაა გამოცემული.

ფასი ერთ მან. ოქრ.

მოიკითხეთ ყველა კიოსკსა და წიგნის მაღაზიაში

საწყობი სახელმწიფო გამომცემლობა ლორის მელიქ. ქ. № 5.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

განცხადების ტარიფი:
უკანა გვერდი . . 100 მ. ოქრ.
ნახევარი გვერდი . 50 მ. „
მეოთხედი გვერდი . 35 მ. „

ხელის მოწერა:
საშვი თვით . . 1 მან. 20 კ. ოქრ.
უკანა თვით . . . 40 კ. „
ცალკე ნომერი ფასდება 20 კ. „

მისამართი:
რედაქციის და კონტორის
რუსთაველის პრ. № 22.
მიიღება სოლის მოწერა დილის 9—3 საათამდე.

№ 5 სამშაბათი 1 იანვარი 1924 წ. № 5

საბჭოთა მეორე ყრილობა.

31 დეკემბერს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობა.

საბჭოთა ხელისუფლება ჩვენში, საქართველოში, უფრო ახალგაზრდაა, გაცილებით ნორჩი, ვიდრე რუსეთში. თუ იქ მას 6 წლის ისტორია აქვს, აქ მხოლოდ 3 წლის ისტორია. მიუხედავად ამისა ამ ცოტა ხნის განმავლობაში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამეს გაკეთება მოასწრო.

საქმარისია შეადაროთ დღევანდელი საერთო მდგომარეობა გადატრიალებამდის არსებულ მდგომარეობას, რომ ეს აშკარა გახდეს.

რა გვქონდა ჩვენ უწინ? ნიკოლოზის რეჟიმი და შემდეგ მენშევიკების საშინლათ აბზომდენ მშრომელთა — მუშათა და გლეხთა თვითმოქმედებას, არ აძლევდნენ მათ გასაქანს. მაშინ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა მშრომელთა ხელისუფლებაზე. მენშევიკების „დემოკრატიული" რესპუბლიკა ეს მხოლოთ სოციალისტური შეფერვანება იყო ძველი ბურჟუაზიული წყობილების. ფაქტიურათ ძალაუფლება იყო გაბატონებული კლასების ხელში. სამუშაო ხელფასი პროლეტარების თანდათან ეცემოდა, მათი მატერიალური მდგომარეობაც უარესდებოდა. გლეხობის მდგომარეობაც გაცილებით გაუარესდა, სოფლის მეურნე-

საბჭოთა მეორე ყრილობის დელეგატები

ვლ. ლენინი.

ს. ორჯონიკიძე.



მ. ცხაკაია.

ომა დაიცა და არავინ არ ფიქრობდა მის აღდგენაზე. მიწის რეფორმა გატარდა მემამულეების და სოფლის მდიდარი გლეხების სასარგებლოთ. ამას მიუმატეთ ისიც, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მუდმივათ ეროვნული ბრძოლის და ხოცვა-ჟლეტის ცეცხლი იყო დანთებული.

ვის არ ახსოვს ქართველ-სომეხთა ომი მენშევიკების და დაშნაკელების ხელმძღვანელობით, ან და სომეხ-თათართა ბრძოლა? ჩვენს მეხსიერებაში არ წაშლილა აგრეთვე მოგონებები იმ სისხლიანი ექსპედიციების მოღვაწეობის შესახებ, რომელთაც გზავნიდენ მენშევიკების ბელადები ოსებთან, აფხაზებთან, აჭარლებთან და სხვ. საბრძოლველათ.

მამ დაარწმუნა იმაში, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა მენშევიკებს შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა მემამულეებისა და ბურჟუების წინააღმდეგ. ამიტომ არის, რომ მშრომელებმა საბოლოოდ ზურგი შეაქციენ მენშევიკების პარტიას. თვით სეით დევდარიანიც, ცნობილი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი აღიარებს დღეს თავის შეცდომებს და ახალ გზების ძიებაშია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი რამ. - თუ მენშევიკების დროს ეროვნულ ბრძოლამ მიაღწია უმაღლეს მწვერვალს, საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს ბრძოლა მოისპო. მუშებმა და გლეხებმა იგრძნეს ჭეშმარიტი ეროვნული თავისუფლება მუდმივი ომიანობისაგან და ხელი მოკიდეს მშვიდობიან ცხოვრებას. ჩვენს პირობებში დამყარებული ეროვნული სოლიდარობა უდიდეს მოპოვებათ უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა მეორე ყრილობის დელეგატები



ლ. ტროცკი.



მ. ორახელაშვილი.



ფ. მახარაძე.

საშინელი იყო ეს დრო! ეს იყო დრო კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამოქვეითებისა, დაღმართზე დაქანებისა.

როგორია მდგომარეობა ეხლა?

აბა ჰკითხეთ ამის შესახებ ჭალაქის მუშას! მისი პასუხი იქნება: მუშათა კლასის მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს საგრძნობლათ გაუმჯობესდა და განაგრძობს გაუმჯობესებას. მრეწველობა ფეხს იკიდებს და ეითარდება. მენშევიკებს სიზმარშიც კი არ დაესიზმრებოდათ აეჭაღში გრანდიოზული ჰიდრო-ელექტრო სადგურის აშენება, ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა, ჩათახის თუჯის ქარხნის ამუშავება და მრავალი სხვ. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ეს რეალური სინამდვილეა. ამ დღეებში ვიდღესასწაულეთ ოზურგეთში რკინის გზის გაყვანა. მთელი რიგი დაწყებულებებისა ბრწყინვალეთ იქნება დაგვირგვინებული ახლო მომავალში.

მიწის საკითხი კომპარტიის ხელმძღვანელობით გადაწყდა მშრომელთა სასარგებლოთ. გლეხობა ამ რეფორმაში მაგრამ ჩვენ აქ ვეინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევადაროთ დღევანდელი მდგომარეობა, მენშევიკების დროს არსებულ მდგომარეობას. ამიტომ დაწვრილებით შეჩერება სხვადასხვა საკითხებზე შეუძლებელია. ერთი კი აშკარაა: საბჭოთა ხელისუფლებამ ფართე გასაქანი მისცა მშრომელთა თვითმოქმედებას... მშრომელთა თვითმოქმედება კი საუკეთესო თავდებია ჩვენი წინსვლის.

საბჭოები ხელმძღვანელობენ ამ წინსვლას, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. საბჭოთა ყრილობა კი ჯამს უკეთებს ძველ გამოცდილებას და სახავს ახალ ამოცანებს, ახალ გზებს. ამ მხრივ მეორე ყრილობას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ეძნება, ვიდრე პირველს. აქ სდგას გადასაწყვეტათ მთელი რიგი კარდინალური საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტას აქვს აქტუალური მნიშვნელობა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოსთვის.

ჩვენ მხურვალეთ მივესალმებით საბჭოთა მეორე ყრილობას და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას.

გაუმარჯოს საბჭოთა მეორე ყრილობას!

რა იყო და რა მოხდა

(„წარსულის და აწმყოს სერიიდან“)

რა იყო

(გაგრძელება)

ვალიკო წწილიშვილს ქანდარმთა სამართველოში განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა დამსახურებული. ფხიზელს, მახვილგონიერს, გონება გახსნილს და განვითარებულს თარჯიმანს, პატიოსნებით სავსეს, ჩუმს და მშვიდს მეტად ქარგი თვალით უყურებდნენ სამართველოში. გარდა პირდაპირი მოვალეობისა, სამართველოს უფროს არა ერთხელ დაუვალებია ვალიკოსათვის სხვა საქმეც: ფულის მიღება და გადაცემა და სხვა და სხვა სამნეო დავალებანი. ყოველ დავალებას ვალიკო კეთილ სინდისიერად ასრულებდა და უნაირაწობას იჩენდა. როტმისტრი ხომ, რომელთანაც ვალიკო მუდამ მუშაობდა, უვალოდ თითქმის უეხს არ გადასდგამდა. ვალიკომ ზედმიწევნით იცოდა ქალაქი, ბევრ მცხოვრებს იცნობდა, პოლიტკურადაც საკმაოდ განვითარებული იყო, კარგად გაცნობილი ჰქონდა პოლიტკურ პარტიათა ურთიერთობა, მათი პროგრამები და ტაქტიკა. ერთი სიტყვით, როგორც ამბობდა მისი როტმისტრი: „ზოლოტა ა ნე ჩელოვეკ!“

ერთ დღეს როტმისტრმა მოაწოდა ვალიკოს ქაღალდის პატარა ნაგლეჯი და უთხრა: „ვალერიან პეტროვიჩ! გასინჯეთ ეს ნაწერი, მგონია შიფრი უნდა იყოს, ქართულათაა... იქნებ გამოიცნოთ და გადმოთარგმნოთ. შემთხვევით ჩაუვარდა ერთ ჩვენს აგენტს... მგონია ჩვენ არ უნდა შეგვეხებოდეს... პოლიციამ ვიღაც ჯიბგირი დაიჭირა და გაჩხრეკის დროს საფულე ამოაცალეს, სადაც ფულთან ერთად ეგ ბარათიც აღმოჩნდა... ჯიბგირი გამოტყდა, რომ საფულე სწორედ დაჭერის წინ ვიღაც ქუჩაში მიმავალს ამოაცალა... პოლიციაში ვერ გაარჩიეს და ვერ გაიგეს ნაწერი... იქვე მყოფმა ჩვენმა ტრმა მოსთხოვა და პირადად შეუდგა მის წარმოებას. ვალიკოს კი აუხსნა: „პოლკოვნიკმა საერთოდ ბრძანება გასცა ასეთი ტურნალები პირადათ ვაწარმოოთ“, თან სიცილით დაუმატა: „პირადად მე თქვენ ისე გენდობით, როგორც ჩემს თავს. მაგრამ ხომ იცით ბრძანება მაინც ბრძანებაა“. ვალიკომ ყური აცქვითა. გრძნობდა, რომ მის მიმართაც იჭვი დაებადათ.

საბჭოთა მეოთხე ყრილობის დელეგატები

ზ. ელიავა.

ფ. ხანდელაკი.

ბოლო ხანებში, როდესაც სამართველოში უცნაური ამბები დატრიალდა და მთელი ქანდარმერია დაფაცურდა ვალიკომ შეამჩნია, რომ მისმა როტმისტრმა თითქოს რალაცნაირად შესცვალა მისდამი მოპყრობა. უფრო თავაზიანად, უურადღებით ექცეოდა, თითქოს უფრო ხშირად ეხმარებოდა, მაგრამ... რამდენიმე დღეა რომ უფრო სერიოზულ და მნიშვნელოვან მიწერ მოწერას ვალიკოს სათარგმნელად აღარ აძლევდა. ერთ დღეს საიდუმლო ტურნალიც, რომელსაც ვალიკო აწარმოებდა, როტმისტრმა ხელში ჩაიგდო. ვალიკოს ეგონა, რომ ეს ტურნალი ისევ ხელში ექნებოდა, მაგრამ ამაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეოცე ყრილობის დელეგატები

მ. ხახიანი
(„დროშის“ რედაქ.)

ა. გეგეჭკორი

ბ. ლომინაძე

ნ. კიწნაძე
(რედ. გაზ. „კომუნისტის“

ლ. ქართველიშვილი

ვ. ივანოე კვესასკი

შაბანოვი

თ. ძღვნტი

ბ. გოგია

ნ. სვანიძე

პ. წულუკიძე

ს. მამულია

შ. ორახელაშვილი

თახსიმ ხიშიაშვილი

ვ. სტურუა

დ. ლორთქიფანიძე

პოლქეიძე

ეგოროვ. (ყოგ. არმიის სარდალი)

ა. შიასნიკოვი

მ. ოკუჯავა

ლ. დუმბაძე

ლ. სეხნაშვილი

თამ. ამაშიძე

ა. გორგაძე

ან. დოლიძე

აგენტმა გამოართვა ეს ბარათი და გადმომცა. პოლიციაც და აგენტიც დარწმუნებულნი არიან, რომ ბარათი ჭორდების და ჯიბგირების შიფრით არის დაწერილი, მაგრამ მე კი მგონია, რომ აქ რაღაც სხვა უნდა იყოს... ამა ვალერიან პეტროვიჩ, თქვენ ამისთანა საქმეებში დახელოვნებული ხართ და იქნებ გამოიცნოთ!

ვალიკომ გამოართვა ბარათი, მიეიდა თავის მაგიდასთან, დაჯდა და რა დახედა ბარათს, ელდა ეცა, თავბრუ დაესხა, მთელი ოთახი თითქოს შეინძრა და ვალიკოს თვალთ უცებად დაუბნელდა... ბარათი მისი იყო, მის მაგიდაში შინ შენახული და როგორ ჩაუვარდა როტმისტრს ხელში?.. ვალიკოს ჯიბიდან არავის არა ამოუცლია რა და მაშასადამე როტმისტრის მიერ მოთხრობილი მტკნარი ტყუილია. „მცდის"... იფიქრა ვალიკომ, მაგრამ ყველაფერს ფარაჯდა ერთი აზრი: „საიდან, როგორ ჩაუვარდა ხელში?" ვალიკოს კარგად ახსოვდა, ბარათი საწერ მაგიდაში, შინ ჰქონდა შენახული, ბარათი მეტად მნიშვნელოვანი და საშიში, არა მარტო პირადად ვალიკოსათვის, არამედ მთელი ორგანიზაციისათვის. ერთ კითხვას ახლა მეორე მოჰყვა: „როდის ჩაუვარდა ხელში?" ნაწილობის გამომძღვანება უნდათ, თუ ბარათი ეხლა ჩაუვარდა ხელში, მისი შინაარსი არ იცის და ეხლა სცდის მას, ვალიკოს?.. საუბედუროდ ვალიკო დარწმუნებულია, რომ მის ოთახში ვერავინ შევიდოდა უიმისოდ ან უსიფიოდ, მშვიდად იყო მუდამ, დარწმუნებული რომ მის მაგიდას ხელს ვერავინ ახლებდა, თანაც სოფიოსადმი სიყვარულმა ისე გაატაცა, რომ ყური მიანება ამ საქმეებს და რამდენი ხანია მაგიდის უჯრებში არ ჩაუხედია და შენახული ქაღალდები არ გადაუსინჯია და რასაკვირველია ვერ გაიგებდა თუ როდის დაიკარგა საბედისწერო ბარათი. როტმისტრი თავისუნული თითქოს ვღლუსავით კითხულობდა რაღაც ნაწერებს, მაგრამ ვალიკო გრძნობდა, როტმისტრი გაფაციცებით უთვალთვალებდა მას.

„აქვს თუ არა ამის ასლი?" დაუტრიალა ვალიკოს თავში ახალმა კითხვამ და თან სამეულეს დააკვირდა... ინსტიქტიურად მისწია ბარათი სამეულესთან ახლოს. ჯერ კი გარკვევით არ იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა, კვლავ აზრმა გაუარა: „თუ კარგა ხანია ჩაუვარდა და გაარჩია, რა თქმა უნდა ზომებს მიიღებდა და ეხლა მხოლოდ ჩემი გამოცდა უნდა... მაშინ? მაშინ დაღუპული ვარ და

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა

კომიტეტის წევრები.

1. ვ. ი. ავაქოვი. 2. ა. გ. კაციტაძე, 3. გ. ბ. სარჯველაძე, 4. გ. პ. თუმანოვი.

ერთი კვირის წინად ეს ბარათი ვალიკოს ამხანაგმა საიდუმლოდ გადასცა, ვალიკომ შესაფერისი ზომები მიიღო და მოიმოქმედა ყველა რაც ბარათში იყო ნაჩვენები. დიდი და საშიში აქტი უნდა შემზადებულიყო ამ ბარათის თანახმად, მომზადდა კიდეცაც და ხვალ თუ ზეგ სისრულეში უნდა მოეყვანათ. გაარჩიეს ქანდარმებმა ბარათი და მიიღეს საჭირო ზომები და ეხლა მხოლოდ ვალიკოს მოვერიფური მიშველის... მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყოს, მაშინ პირდაპირ დამატუსაღებდა და ბარათს ისე მაჩვენებდა... არა, ბარათი ეხლა ჩაეარდნია ხელში და მისი შინაარსი ჯერ ვერ გაუგია", დაასკვნა ვალიკომ და აქედან შედეგი: „ბარათი უნდა მოისპოს!"..

მაგრამ ვაი თუ პირი აქვს გადაღებული? ან და როგორ მოისპოს? კვლავ ვალიკოს თვალი სამეულეს და-

აცქერდა. „ალბად ეხლა შემეკითხება და რა უნდა უპასუხო?.. ე-ე რაც უნდა მოხდეს!“ გადასწყვიტა ვალიკომ და კვლავ სამელნეს დააცქერდა.

ამ დროს მოესმა როტმისტრს ხმა: „რა ქენით, ვალერიან პეტროვიჩ, გაარჩიეთ?“

ვალიკო უცბად წამოხტა სკამიდან, თითქოს ფეხი წაუცურდა და პირქვე დაეცა მაგიდაზე, ხელი წამოჰკრა სამელნეს და შავი მელანი მთლად წამოადენა და ბარათს გადაასხა. შავად შეიღება ბარათი, ვერაფრის გარჩევა ვეღარ შეძლებოდა. ვალიკო წამოხტა და გაფითრებულმა, ხმის კანკალით შესძახა: „ეგაიმე ეს რა მომივიდა? მაპატიეთ ეს ბ. როტმისტრო!!...“

როტმისტრი წამოხტა, მოვიდა ვალიკოსთან, დაიწყნა შავად შეღებილი ბარათი და სამინელი ბრახი მოუვიდა, „ე—ე, ხედამ რა ყოფილა“, ფიქრობდა როტმისტრი, „კამისხტლდა... გამაცურა... რა სისულელე ჩავიდინე“...

მართლადაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა როტმისტრი. მთლად ჩაიფუშა ვერაგულად მოწყობილი საქმე. ბარათი თეატრში ხელის კოცნის დროს გადასცა როტმისტრს სოფიომ. მიუბედავად იმისა, რომ ბარათში სიტყვები პირუკუღმა იყო დაწერილი, სოფიო მაინც მიხვდა რომ მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ ბარათს. როტმისტრიც ამაში დარწმუნებული იყო, მაგრამ რადგანაც სამხარველოში ვერავის ენდობოდნენ, როტმისტრმაც ვერავის გადაათარგმნინა და გადასწყვიტა, რომ ბარათს პირდაპირ მიახლებს ვალიკოს, თვითონვე გადაათარგმნებს და... გამოსტეხამს... პირი ბარათისა როტმისტრს გადაღებული არა ჰქონდა. ეხლა რაღა ექნა. თუ გამოუტყდებოდა ვალიკოს, მაშინ სოფიო უნდა გაეცა, ეს ყოველად შეუძლებელი იყო. იჭვით შეეპყრო ვალიკო? მაშინ მთელი ორგანიზაციის აღმოჩენის საქმე მთლად ჩაიფუშებოდა და არც უფროსები მოუწონებდნენ ასეთ შეცდომას. სამსახურიდან დაითხოვა, ან და ეგრძნობინებინა ვალიკოსათვის იჭვიანობა, ეს კვლავ საქმეს ავნებდა. „გამისხლტდა, გამაცურა“... კვლავ ფიქრობდა როტმისტრი, მაგრამ რას უშველიდა... დაბაცადე, მაინც ჩაგიდებ ხელში და ვაი შენს ბედს“, გადასწყვიტა როტმისტრმა...

„როგორ მოგიეცდათ, ვალერიან პეტროვიჩ? ეითომ არაფრად ჩასთვალა როტმისტრმა ინციდენტი: „ე—ე, ეშმაკმა წაიღოს, დარწმუნებული ვარ მნიშნელოვანი არა იყო რა და ჩვენ არ გაბოგვადგებოდა“...

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა



სკურდუშის ხიდის კატლავანი.

გათავდა მეცადინეობა, როტმისტრი ადგა, ჩაიცვა პალტო და უთხრა ვალიკოს: „დროა შინისაკენ, ვალერიან პეტროვიჩ, აღარ ათავებთ?“ ერთად გამოვიდნენ როტმისტრი და ვალიკო სამართველოდან. ქუჩაში როტმისტრი გამოეთხოვა ვალიკოს და გასწია მარჯვნივ, ვალიკო კი მარცხნივ წამოვიდა შინისაკენ. გზაში კითხვა არ ეშვებოდა: „საიდან და როგორ ჩაუვარდა ბარათი?“ ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ალბად არ ახსოვს და ბარათი სამმართველოში საწერ მაგიდაში დარჩა და რადგანაც ბოლო ხანებში ყველა მოსამსახურეებს უთვალთვალებდნენ, რა თქმა უნდა მეცადინეობის შემდეგ მათ მაგიდებსაც ჩხრეკდნენ და ალბად აგენტს ჩაუვარდა ხელში ბარათი და მან როტმისტრს გადასცა, ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო ამხანაგების გაფრთხილება, ვალიკო დარწმუნებული იყო, რომ მასაც თვალყურს აღევნებენ და ამიტომ რათა ხანია როშელიმე ამხანაგთან მისვლას ვერა ბედავდა. მით უმეტეს ეხლა ეს

საშინაო იყო... მაგრამ გაფრთხილება მაინც აუცილებელი იყო და გზაში ვალიკო ერთ პატარა ხელის დუქანში შევიდა, ვითომ ვაშლის საყიდლად. დუქანში რამდენიმე მუშტარი იყო. ვალიკო ხმა მაღლა შეეკითხა დახლიდარს: „ვაშლი როგორაა?... ე—ე, კარგად ვერ ინახავ, დალპება მალე .. მითხრეს შენი, კარგი ვაშლი აქვსო... მაგრამ კარგ ვაშლს კარგი შენახვაც უნდა... ეს არ ვარგა... მშრალ ოთახში უნდა შეინახო, თორემ ჭია გასჩენია...?“ — „გავიგეგე, მეხილე მე ვარ და ჭიას შენ მასწავლი?!! თითქოს დაცინვით უპასუხა დახლიდარმა,—შენ არხეინად ბრძანდებოდე და ვაშლს მე თვითონ მოუვლი“, და ამ სიტყვებით ვალიკოს თვალი თვალს გაუყარა. ვალიკო დარწმუნდა რომ დახლიდარი მის აზრს მიუხვდა და რაც საჭირო იყო გაიგო. ვალიკო დუქნიდან გამოვიდა და დახლიდარმა კი მუშტართ მიმართა: „ე, ვიღაც ოხერი ჩინოვნიკია, მუდამ დღე შემოგვის, საჭონელში ხელს ურევს, დარიგებას მაძლევს და ერთხელ კაპიკისა არა უყიდნია რა“...

„თქვენ ხართ, ბ. ვალიკო,“ მოესმა მეორე ოთახიდან სოფიოს ხმა: „ოდიშს ვიხდი, ცოტა შეუძლოთ ვარ, ალბად გუშინ ღამ თეატრში გავცივდი... მოიხმეთ მეზობლის მოსამსახურე გოგო და სადილს მოგართმევთ!!.

— „რა დაგემართათ, ხმის კანკალით შეეკითხა ვალიკო და შეაღო კარი, მაგრამ სოფიომ შიშით მოსძახა: „არ შემოხვიდეთ, როგორ შეიძლება, ლოგინში ვწევარ“...

მაგრამ ვალიკომ ვერ მოითმინა და შეაღო კარები. ლოგინში ჩაწოლილი სოფიო სწრაფად იფარებდა ყელამდე საბანს და მორცხვად შეჰყურებდა ვალიკოს, თან ღუღლუღებდა: „როგორ შეიძლება?.. რას იფიქრებენ ვაი თუ გოგო შემოვიდეს... ბავშო გაიღიძებს“... მაგრამ ვალიკო ხედავდა სოფიოს გაფითრებულ სახეს, რომელზედაც ტანჯვა იყო აღბეჭდილი და შიში იტაცებდა. მართლადაც ამ ერთ დღეში საგრძნობლად გამოცვლილიყო სოფიოს სახე, თითქოს საშინელი ტკივილები აწუხებდნენ და სახე მალმალე ელმინჭებოდა...

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა



ლიანდაგის დამგები მუშები ჩაბეატას ბიდთან.

ვალიკო ცოტათი დამშვიდდა, ამხანაგები ხომ გააფრთხილა, პირათი მოსპო, მაგრამ გრძნობდა, რომ ამიერიდან იწყებოდა ფარული, მაგრამ დაუნდობელი და მკაცრი ბრძოლა როტმისტრთან. იცოდა თუ რა გაიძერა და გამოჭნილ მტერთან ჰქონდა საქმე. იცოდა, რომ როტმისტრი არავითარ საშუალებას არ მოერიდებოდა და სხვას რომ თავი დაანებოს, ამ ბარათის ამბავს არ შეარჩენდა.

განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულობა იყო საჭირო.

დაბრუნდა შინ ვალიკო, გააღო თვისი ოთახი და შევიდა. ჩვეულებისამებრ სოფიო არ დაუხვდა და ამიტომ ვალიკომ სოფიოს კარი დაუკაკუნა.

„სოფია ალექსანდროვნა, თქვენ ავად ხართ და მე კი არა ვიცოდი რა... ეხლავე ექიმს მოვიყვან“... და ვალიკომ კარებისაკენ გასწია, მაგრამ სოფიომ შეაჩერა.

„ნუ შესწუხდებით, არც ისე ცუდათა ვარ, საღამოს მე თვითონ ვაპირებ ექიმთან წასვლას... დამშვიდდით, მე არა მიშავს რა“..

ვალიკო დაბრუნდა, მიუჯდა საწოლს და სამინლად აუწუდა გული. გრძნობდა რომ მეტად ძვირფასი იყო მისთვის სოფიო და საშინელმა სიბრალულმა აიტაცა. აივლო სოფიოს ხელი და დაეწყნა. დაატყო რომ ყინულივით ცივი ხელი სოფიოსი კანკალებდა და თვითონ ქალიც თითქოს თრთოდა. შეხედა ჭალს თვალებში და ტრუანტელმა

იტანა, ვეღარ მოითმინა და დაეწაფა მის ტუჩებს. იგრძნო, რომ მაგრად მოეხვიენ მას ქალის მკლავები და მის კოცნას ქალის ტუჩებმა მხურვალე პასუხი გასცეს. სამანი ჩამოეშვა, ქალის გაღელილი გულმკერდის სითბო თავში ეცა ვალიკოს და მთლად დაავიწყა თავი. სოფიო ეხვეოდა. და გაგრძელით კოცნიდა ვალიკოს და თან მდუღარე ცრემლი ჩაშოსდიოდა, გულამოდგმული ტიროდა. ვალიკოს თავბრუ დაესხა და ყველაფერი დაავიწყდა. გაშმაგებული დაეწაფა ქალის მკერდს და..... სწორედ ამ დროს მოესმა საშინელი ტანჯვით ჩურჩული: „შენი ჭირიმე, შემიბრალე... ნუ... ნუ... ეხლა არა... გეყდრები, გემუდარები... ვალიკო, ჩემო სულის ჭირიმე შემიბრალე.. არ შემიძლიან“ .. და სტიროდა საშინლად ქალი.

ვალიკო გავიდა თავის ოთახში. საღამოს რვა საათი იყო, რომ სოფიო მის ოთახში ჩაცმული შემოვიდა და უთხრა ვალიკოს: „ექიმთან ბევრი ხალხი დაიარება, ზოგჯერ მიღება ათ თერთმეტ საათამდე გასტანს ხოლმე... ალბად დამიგვიანდება... შენი ჭირიმე ბავშვს მოუარე“...

—„მე გაგაცილებ,“ მოჰხვია ვალიკომ ხელი: „ან და იქ მოვალ საათის ათზე, თორემ მარტო როგორ წამოხვალ“...

„არა, არა, თითქოს შიშით წამოიძახა სოფიომ: „ეტყლს დავიჭირავებ... ჩემი დარდი ნუ გექნება... გოგოს ანბავრას ბავშვს ვერ დაეტოვებ... მეშინიან... ახა ნახვამდის. ჩემო კარგო,“ მაგრად ჩაეკონა ვალიკოს გულში და კვლავ აქვითინდა. ეხვეოდა, ჰკოცნიდა თითქოს სამუდა-

ნატანეგა-ოზურგეთის რკინის გზა

პირველი მატარებელი ოზურგეთში.

მოდ ეთხოვებოდა...

„ოჰ, რანაირად ამეშალა ნერვებში“.. და ამ სიტყვებთან ერთად თითქმის გავარდა კარებში...

გამოვიდა სოფიო ქუჩაში და პირველ ხანას ფეხს აუჩქარა, მაგრამ გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და უცლო სიარულს, მუხლები დამძიმდა, სუნთქვა მოეხშირა. უძნელდებოდა სიარული, მაგრამ თავს ძალას ატანდა, მაინც მიდიოდა, და მის გონებაში მხოლოდ ერთი სიტყვა გაისმოდა: „ხვალ, ხვალ!.. დიახ სწორედ ხვალისა უთხრა თეატრში როტმისტრმა, სწორედ ხვალ დაეცემიან ვალიკოს და საშინელი უბედურობა დატრიალდება, ვალიკო დაიღუპება და მისი სწორედ სოფიოს ხელით, ვალიკო, რომელსაც სოფიო მზად არის შესწიროს ყოველისფერი: სიცოცხლე, ნამუსი, პატიოსნება. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ვალიკოს დაიჭერენ და ადრე თუ გვიან ამის მიზეზი გამოშეღავნდება. ვალიკო გაიგებს თუ ვინაა სოფიო, არა,

ვალიკო გონს მოვიდა, წამოდგა და შეატყო რომ ქალი მართლადაც საშინლად იტანჯებოდა.

„ჩემო ძვირფასო, ჩემო გვრიტო სოფიო, მაპატიე, მე უსინდისოს... შეუძლოთა ხარ და მე კი... სიყვარულმა გამაგიჟა, გონება დავკარგე... მაპატიე დამშვიდდი“, ეხვეწებოდა ვალიკო და თან ხელსა ჰკოცნიდა.

„არ ვიცი რატომ, ცრემლით ეუბნებოდა სოფიო, ნერვები მეტად ამეშალა, დავსუსტდი.... გენაცვალე, ნუღარ მტანჯავ... წადი... ისადილე .. საღამოს ექიმთან უნდა წავიდე“. სიყვარულით, მაგრამ სევდით შესცქეროდა სოფიო ვალიკოს.

„მე მოვიყვან ექიმს, უთხრა ვალიკომ: „ასეთი დასუსტებული სად წახვალ შენ... ვაი თუ უფრო გაცივდე?“

— „არა, არა... მე თვითონ უნდა წავიდე... არა მიშავს რა, მხოლო ნერვები მაქვს დასუსტებული და გასეირნება უფრო მარგებს....

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ეს ხომ სიკვდილზე უარესია. წუხელის მთელი ღამე სოფიოს არ სძინებია, აი ამ საზარელ ხვალინდელ დღის მოლოდინში. ამ საშინელ ტანჯვაში დარწმუნდა რამდენად ძვირფასი იყო მისთვის ვალიკო და თავისი ხელით კი ღუპავდა მას. გათენებისას სასოწარკვეთილობამდე მისულმა ქალმა გადასწყვიტა თავის მოკვლა, ამის საშუალებაც ჰქონდა, მუდამ თან ატარებდა საშინელ შხამს, ციანჰანგს. კარგა ხანია რაც როტმისტრს გამოსთხოვა „ყოველ შემთხვევისათვის“... სასიკვდილოდ გამზადებულმა უკმად თვალი მოჰკრა ბავშვის აკვანს, შეჩერდა. შეყოყმანდა, მაგრამ ცოტა ხნის უკან მაინც კვლავ დააპირა განზრახვის შესრულება, მაგრამ ახალმა აზრმა კვლავ ხელი შეუშალა: „ვალიკოს ამით ვერ გადავარჩენ, მაინც დაიღუპება!!“ არა, არა, ჯერ ვალიკო უნდა გადავარჩინოს და შემდეგ:.. მოიკრიფა ძალა, აუჩქარა ნაბიჯს. გაუარა ახლოს თეატრს და უმალ მოაგონდა ის საბედისწერო

უძვირფასესი იყო. მან გასცა, ჯალათებს ჩაუგდო ხელში. ისწია თავი, კვლავ შეხედა ვალიკოს, დაინახა: ვალიკომ ბავშვი მის ოთახში შეიყვანა და მალე უკან დაბრუნდა, ალბად ბავშვი აკვანში ჩააწვინა... თითქმის ჩოქით აბობღდა სოფიო პატარა კიბეზე და შეეხიდა მეორე კარით თავის ოთახში... ალბად ხმაურობა მოესმა ვალიკოს. მოუახლოვდა სოფიოს კარს და მოსძახა: „მოხვედით, სოფია ალექსანდროვნა?.. შეიძლება შემოვიდე?“ ქალი მივარდა მიაწვა კარს: „არა, არა ბატონო ვალიკო“, შიშით შესძახა სოფიომ: „დაღალული ვარ... მეძინება... თქვენც მოისვენეთ“... და აწვებოდა კარს, თითქოს ეშინოდა, ვალიკო ძალით არა შემოვიდესო.

—„ღმე მშვიდობისა... დაწექით, დაწექით, მოისვენეთ...“ მოესმა ქალს ალერსიანი ხმა ვალიკოსი. გაიგონა რომ ვალიკო კარს მოშორდა, მაგრამ სოფიო მაინც კარს აწვებოდა, კარებთან იყო აწოდილი უნძრეველად... მერმე

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა



რკინის ხიდი მდინარე ნატანებზე.

ღამე... მოაგონდა როგორ დაბრუნდა თეატრიდან, მოუახლოვდა სახლს, თავის ბინას, დაინახა ვალიკოს ოთახში სიხათლე, შეიხედა გარედან ფანჯარაში და დაინახა: ვალიკოს ბავშვი ხელებზე დაესვენა და არწევდა. ხშირ ხშირად დაღუნავდა თავს და ალერსით ჰკოცნიდა პატარას. ისეთი სიყვარული იყო ვალიკოს სახეზე, ისეთი სინაზით, ისეთი ალერსით უყურებდა ბავშვს, რომ გული აუტოკდა სოფიოს, სისხლი თავში აუვარდა. მიეყრდნო კედელს, გახურებული შუბლი მიადო ცივ ქვებს და აი აქ იმ წუთს იგრძნო, თუ რამდენად ძვირფასია მისთვის ვალიკო. აქ პირველად მის სიცოცხლეში აღიძრა ნამდვილი, უსაზღვრო, თავდავიწყებამდე სიყვარული. მაგრამ აი ამ ორ საათის წინად მან ეს კაცი, რომელიც ცხლა ამ წუთში მისთვის სიცოცხლეზედაც მოშორდა კარს, მიეიდა ლოგინთან, გაიბადა, დაწვა... მაგრამ იმ ღამეს თვალი არ მოუთვლემია.

და აი დღეს დავიწყებას მიეცა, ვერ გაუძლო ვალიკოს ალერსს, მის კოცნას. ჯერ კიდევ გრძნობს თავის მკერდზე ვალიკოს კოცნას, ჯერ კიდევ ღვიძს მისი ტუჩები, ჯერ კიდევ საამური ტრფიალით უყურს ტანში, ჯერ კიდევ გრძნობს გულწრფელად ვალიკოს სიმძიმეს, მის სურვილს და... თვალთ უბნელდება: „ხვალ, ხვალ!!“ სოფიო უფრო ძალას ატანს თავს, უფრო უჩქარებს ფეხს. დღეს, დღეს, დღეს ამ საღამოს უნდა აღსრულდეს... რაც მოხდეს, უნდა აღსრულდეს... თუნდაც შესწიროს ნამუსი, სიცოცხლე... ხელით შინჯავს ჯიბეს; იქ არის თუ არა ძვირფასი წამალი და თან უფრო უჩქარებს ფეხს, თითქმის მირბის. „ცხრაზე იქ უნდა ვიყო, თორემ ველარ ვნახამ“, ფიქრობს ქალი.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა.



რკინის ხიდი სკურდიზე.



ოზურგეთის სადგურის შენობის გეგმითი დასადი ლიანდაგის მხრიდან.

იქოდა სოფიომ რომ როტმისტრი შუდამ საღამოს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ერთ ქუჩის კუთხეში იმყოფებოდა საათის რვიდან ცხრამდე. იქ იყო მისი სათვალთვალო „პუნქტი“ და მათ შორის ისე იყო გადაწყვეტილი, რომ თუ რამ არაჩვეულებრივი მოხდებოდა სოფიო აქ მოძებნიდა და შეატყობინებდა როტმისტრს, ჩვეულებრივად კი ერთმანეთს თვატრში ხვდებოდნენ, წარმოდგენის შემდეგ კი როტმისტრს სოფიო სასტუმროში მიჰყავდა და აქ სოფიო ორჯერ სამსახურს ასრულებდა: ცნობებს აწვდიდა და თან... ასიამოვნებდა. ვალიკოს სოფიოსთან დასახლების დღეიდან კი სოფიომ დააკვირა როტმისტრი, რომ თვატრიდან სასტუმროში სიარული საშიში იყო, ვალიკო იჭეს იიღებდა და სოფიოს საშუალება მისცემოდა თვალყურის დევნისათვის...

უახლოვდებოდა სოფიო დანიშნულ ადგილს, მიიხედ მოიხედა, ქუჩაში არავინ ჩანდა. ამოიღო ჯიბიდან სქელი პირბადე და გადაიფარა სახეზე. მირბოდა სოფიო და თავში ახრი სისწრაფით ბუშაობდა: „ამაღამ, ამაღამ უნდა გათავდეს... უნდა აღსრულდეს!“ აქ უკვე თვალ წინ წარმოუდგა როტმისტრის სახე, თითქოს ტანში გაყრჟოლა, ახლა ახრი უკვე წარსულში გადავარდა.

მამა პოლიციის მოხელე. საშინელი ლოთი, სასმახურიდან რამდენჯერმე გამოგდებული. საშინელი სიღარიბე. დედა არ ახსოვს. გამწარება, ექვსი კლასი. საღსარი აღარ იყო, სწავლის ფული ვერ შეიტანეს. შინ დაბრუნება, გალოთებულ მამის კერას ქვეშ. შიმშილი, ერთი ჩითის კაბის ამარა, დაფლეთილი ჩუქები, ძირგაცვდნილი „ტუფლები“, ხშირად უსაცილოდ. ლოთი მამის გინება, ხშირად ცემა. მამის მიერ სახაზინო ფულის გაფლანგვა და სამართალში ჩავარდნა. ამ დროს მხსნელი როტმისტრი. უცნად კაბები, მორთულობა, თეატრები და... ნამუსის მსხვერპლად შეწირვა. ჩვიდმეტი წლის ქალის გახრწნა... შემდეგ ორსულობა და როტმისტრის გარიგებით ვიღაც წვრილ მოხელეზე გათხოვება. სახიზღარი ქმარი, საიდუმლო ჯაშუში თვით როტმისტრისა. ჯაშუშობის, გამცემლობის და პროვოკაციის წუმპეში ყოფნა. ზნეობით და სულით გარყვნა...

ქმარი მოჰკლეს ვითომ რევოლიუციონერებმა და როგორც შემდეგში სოფიომ გაიგო მოაკლევინა როტმისტრმა, რადგანაც ქმარმა ბევრი საიდუმლოებანი როტმისტრისა იცოდა, იცოდა აგრეთვე კავშირი როტმისტრის სოფიოსთან და აშკარა შანტაჟი დაიწყო. მამის სიკვდილი, შეილის გაჩენა. დეკემბრიები გრძნობა... ელვასავით მირბოდენენ თავში ახრები, სურათი სურათს სცვლიდა. ავთდება ჯაშუშობაში ჩვეთა. როტმისტრის გაკვეთილები. სასტუმროში ღამეები, სადაც ფიზით ითელებოდა ქალის პატიოსნება. გარყვნილი, გათახსირებული როტმისტრი, უხეში სახაზინო ალერსი. ავხორკობის დაკმაყოფილებათათვის გატანჯვა, გაწამება ქალისა. ბუნებრივ აჭუის საშინელი, უმეზავსი და გამათახსირებელი ილეთებით შესრულება... და ბოლოს თვით კაცის შეძულება, სახიზღარი ბერალის მიმართ შურის ძიების წყურვილის გაღვიძება...

მეტადრე ერთი შემთხვევა მოსვენებას არ აძლევდა სოფიოს და აი ეხლაც თვალწინ წარმოუდგა ერთ დროს შეხვედრად მცხოვრები პატიოსანი მანდილოსანი ქერიები. მისი ახალგაზდა შვილი სტუდენტი. ჯერ კიდევ ბავშვი, ზნეობით სპეტაკი, სხეულით უმანკო. მაგრამ უკვე სულით მტკიცე და ძლიერი, გატაცებული რევოლიუციონერი. დაახლოვება. ნორჩი ჰაბუკის მორცხვი და მორიდებული თავყანისცემა, ერთ ღამეს ჩხრეკა. სტუდენტი წინასწარ გაფრთხილებული ცდილობს საიდუმლო ქაღალდების დამალვას. სოფიო დაუმალავს თავისთან მაგრამ... მოსული როტმისტრი სოფიოს ჩვენებით იპოვის. თავხარდაცემულ დედაშვილი. შვილი კატორღაში, დედა დამბლადცემა და აქ პირველად გამოფხიზლდება სოფიო... მაგრამ მაგარია კლანჭები მტარვალისა, მაგარი ჯაჭვით არიან გადაბმული სოფიო და როტმისტრი, ვერსად წაუვა... და ეხლა ვალიკო. თავდამავიწყებელი სიყვარული, შორს შეჭი სინათლისა. ოდნავ ნაგვში პეიდნიერება, ნეტარება და კვლავ შავი კედელი მტარვალობისა.

„ამაღამ?, ამაღამ...“ გაიფიქრა ჩურჩულებს სოფიო და კვლავ ჯაბეში აუათურებს ხელს... „აქ არის, აჭ...“ დაინახა შორიდან როტმისტრი, უცებ შედგა, მუხლებში ჩაიკეცა, ხშირად სუნთქავდა, მეტად დაღალული იყო. გული მაგრა უცემდა, ხელი დაიდო, კიდევ ერმად ამოისუნთქა და გასწია როტმისტრისაკენ. მიეიდა. იცნო უმალ როტმისტრმა, მოეგება და ორივე ხელში ჩაეჭიდა.

„რა მოხდა რა ამბავია?“ შეეკითხა. – „ხვალ საღამოს შვიდ საათზე კრება აქვს დანიშნული, „ჩქარა ჩქარა უამბობდა სოფიო: „ყური მოეკარი, იაროს მოიტანენ შეხანახად, ვაშლებს ახსენებენ... მეშინიან არა მოახდინონ რა .. თანაც უშენოდ მომწყინდა... საღღაც წავიდა ვეღარ დავბრუნდებიო... დრო ვიხელთე, გამოვეპეკი, მოშწყურდა შენი ნახვა. ოჰ, როგორ დავიღალე...“ სხაპა სხუპით ლაპარაკობდა ქალი და სუნთქვას ვერ ასწრობდა.

როტმისტრმა ხელი ხელს გაუყარა. მაგრად მიეკრა მას სოფიო.

— ჩემო გერიტო, ჩემო სულიკო, ეგ კარგი ამბავი შემატყობინე... შვიდ საათზეო... მე კი სწორედ რვაზე ვეწვევი და მახე სავსე იქნება... მაგრამ ეგ ხვალ და დღეს კი, ჩემო კარგო ამდენ მარხვას კარგა გავიჩნილებთ,“ ცისნაკრად დაუბატა როტმისტრმა.

„ვერ წარმოიდგენ, როგორ... მინდიხარ, როგორ ველოდი ამ წუთს,“ და უფრო მაგრა მიეკრო სოფიო, დახედა საათს.

„დღეს მაინც აღარა იქნებარა და ჩვენ შეგვიძლიან წ-ვიდეთ. მიიხედ მოიხედა, მოშორებით ტელი დაინახა, მოიხმო. ჩასვა სოფიო და მოუჯდა მკერდით. უთხრა ერთი სასტუმროს მისამართი მეეტლეს.

როტმისტრს სოფიო ერთსა და იმავე სასტუმროში არ დაჰყავდა.

ქალაქის თითქმის ყველა სასტუმროში ჰქონდა დაქირავებული ნომერი სხვა და სხვა სახელზე. ყოველ სასტუმროში ავრეთვე ჰყავდა თავისი აგენტი „ლაქია“. მაგრამ სოფიოს მათგანი არავინ იცნობდა. მუდამ სქელი ბადეთი აფარებული ყოველთვის სხვა ტანისამოსში, სოფიოს არასოდეს ორჯელ ერთსა და იმავე სასტუმროში ვერ დაინახავდენ.

მიეიდნენ სასტუმროში. აიყვანა კიბეზე როტმისტრმა სოფიო, თავის გასაღებით გააღო ნუმერი. ორ ოთახიანი კარგად მოწყობილი ნუმერი. ერთი სასტუმრო, მეორე საწოლი ოთახი. სოფიო შევიდა საწოლ ოთახში, იცოდა, შეჩვეული იყო, რომ როტმისტრი ეხლავე ლაქიას მოიხმობდა ზარით.

მართლაც როტმისტრმა დაურეკა ზარი. წუნარად

საბჭოთა-ფინეთის ომი.



ჩატახის თეჯის ჭარბანა.

საბჭოთა აღმშენებლობა.

ჩათახის ტრაქტორის ქარხანა.

შემოიღო კარი და გამოჩნდა ლაქია, ღიმილით დაუკრა თავი როტმისტრს. „გამარჯობა“, სიცილით შესძახა როტმისტრმა: „აბა მაგიდა ცალიერია... სწრაფად, თორემ... დრო ცოტა გვაქვს“...

— „მესმის, ბატონო,“ და გაქრა ლაქია, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ კარი გაიღო და ლაქიამ შემოიტანა დიდი საინით კონიაკი, სხვა და სხვა საუზმეულობა, ხილი. იცოდა როტმისტრის ჩვეულება. დადგა მაგიდაზე და უმალ გაქრა. როტმისტრმა ჩაკეტა კარი, გაიძრო „სერთუკი“ და დარჩა პერანგის ამარა.

„აბა სოფიოჯან, არ გშიან... მე კი ძალიან მშიან.. მობრძანდი ჩემო გვრიტო, „შესძახა როტმისტრმა სოფიოს.

სოფიომ მოიხსნა „შლიაპა“ და პარპაშდე, გაიხადა „ქაკეტი“ და გამოვიდა როტმისტრთან. ღრმად ამოჰკრიალა კაბა, გაშიშვლებული მკლავები.“ მარმარილოსავით თეთრ კანს, ოდნავ სიწითლე ეტყობოდა, ფუნჩულა ხელები, მაღალი, ლამაზად მოყვანილი გულმკერდი, გაფითრებული სახე, შავი, ღრმად ჩაცვენული დიდი თვალები. სქელი დახუჭუჭებული გიშრის თმა, ოდნაე დასრულებული მოქნილი ტანი.

— „ჰა, მამხნევებ .. ნუ გეშინიან, ამოდენა მარხვამ ისე გამამხნევა, რომ... საზარლად გადიხარხარა როტმისტრმა და გამოცალა ჭიქა.

სოფიომ იცოდა რომ როტმისტრს მალე ეკიდება, მაგრამ მალე გამოფიზლებაც იცის. ამიტომ უზშირა კონიაკით გამასპინძლებას. კიდევ ზედი ზედ ორი ჭიქა გადააკვრევინა. ახლა კალთაში ჩაუჯდა და კვლავ ეხვეწებოდა დალევას. როტმისტრს მოეკიდა, შეხარხარდა, ენა ებმებოდა, დორბლი ჩამოსდიოდა, დაუწყო სოფიოს კაბას ხელით ფათური, გაუღეღა მთლად გულმკერდი, მერმე ბარბაცით წარმოდგა და აქ ირინა მისმა ჰხეკურმა ბუნებამ სავსებით თავი.

„ეხლა კი... დროა... წავიდეთ...“ უხეშად მოხვია ხელი სოფიოს და თითქმის ძალით გაათრია საწოლ ოთახში. გახდა არ დააცალა და ისე დააგდო ლოგინზე.

მაგრად მოკუმშა ტუჩები სოფიომ. თვალები დახუჭა. აღარაფერს გრძნობდა, მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: „ღმერთო, ძალა, ძალღონე მეყოს...“

უხეშად, მხეცურად აშიშვლებდა ქალს როტმისტრი, სიმთვრალის გამო ვერ ახერხებდა, ცხარობდა, იგინებო-

რეპროდუქცია.

როტმისტრმა ვეღარ მოითმინა, გაქანდა და მაგრად ჩაიკრა გულში სოფიო. დაუწყო გაშმაგებით კოცნა.

„მოიცა, გიჟო,“ ვითომ ხუმრობით იშორებდა სოფიო: „მოესწორები მე მშიან და მწყურიან!...“

„ოჰ, უკაცრავად, ჩემო გვრიტო, მართალია რომ გამაგიჟე... გაუშვი ხელი. მიუჯდნენ მაგიდას. როტმისტრმა აავსო ორი დიდი ჭიქა კონიაკით. დალიეს. შეექცნენ. სოფიომ ცოტა ხნის შემდეგ აუვსო კვლავ კონიაკით ჭიქა როტმისტრს.

„დღეს უსათუოდ უნდა დაითვრე. ნასვამი მეტად მომწონხარ... მართლა კარგი ხარ... თითქოს მორცხვად დაუმატა სოფიომ.

და .. იგრძნო სოფიომ საზარელი სუნთქვა, სლოკინი და ინსტიქტიურად როტმისტრს ხელები ყელზე მოუჭირა, თითქოს უნდა მოეშორებინა. უჭერდა მაგრად ხელებს, მაგრამ მისი პაწია ხელები როტმისტრის ხარისავით კისერს ვერა სწვდებოდა... „ვერ დავღორჩობ, ვერ შევძლებ... მერე, მერე... ღმერთო ღონე... როტმისტრს მეტად მოეკიდა კონიაკი, ვეღარ შესძლო და უცბად ლოდივით გადაგორდა იქით ლოგინზე და უმალ ხვრინვა ამოყშვა. წამოხტა სოფიო, ჩაიცვა, გაისწორა, მიეიდა პირსაბანთან,—პირი დაიბანა. გამოვიდა მეორე ოთახში და ჩაჯდა სავარძელში. იცოდა სოფიომ ორი, სამი საათის შემდეგ როტმისტრი გამოიღვიძებდა და წყალს მოითხოვდა. ოღონდ არ

დაეძინოს თეთრად სოფიოს. წუხელის თვალი არ მოუთ-ელებია და დღევანდელმა ტანჯვამ ისე მოშალა და მოქანცა, რომ საბარძელში სთვლეშს. წამოხტა, გაიარ გამოიარა, ძილი თითქმის გააქრო, კვლავ საბარძელში ჩაჯდა, ცხელა ოთახში, მაგრამ სარკმელის გაღების ეშინიან, ვაი თუ დაინაბოს ვინმემ. ახრი ადარ მუშაობს, ბურუსში ეხვევა. არც სძინავს და არც თითქოს ღვიძავს, მთელი სხეული მოდუნებულია. აი ვალიკო, ბავშვით ხელში. როგორ უყვარს ბავშვს... არა, არა ვალიკო არ არის. ეს ხომ სტუდენტია, ახალგაზრდა, წითელ ლოყებით... მაგრამ რატომ ასე უცბად დაეცმიჭა სახე..? ეს ხომ მისი დედაა...

„სოფიოჯან, წყალი... ზელთერის წყალი“, საიდანაც შორიდან მოესმა სოფიოს...

— „ვინ მეძახის?.. ვინა არისჩ“..

უცებად წამოხტა, კვლავ მოესმა:... ზელთერის წყალი, გამოერკვია. ჯიბეში ხელი. ამოიღო წამალი, მივიდა მაგიდასთან, ჩაბნია ჭიქაში და მოუშვა სიფონი. მაგრად სცემს ნაკადული ჭიქის ძირას, „რა ლამაზად ხტუნაობენ და ბრწყინავენ წინწკლები“, ფიქრობს სოფიო.

„რა დაგემართა, მწყურიან...“ ესმის ბრინწიანი ხმა.

— „ეხლავე“, უმახის სოფიო, მიაქვს სავსე ჭიქა, მაგრად უპერს ხელს, არ გაუფარდეს ხელიდან.

მიუახლოდა როტმისტრს, აწვდის და ვერ მიუწვდენია, თითქოს ვიღაცა ხელს უჭერს, როტმისტრა უცბად წამოჯდა, გამოიშვირა ხელი, წაართვა ჭიქა და გადაყლაპა. წატორტმანდა სოფიოს წინ, ხელი უნდა ეტაცნა, მაგრამ გეიანღა იყო...

ალბად რაღაც გემო იგრძნო როტმისტრმა, შეხედა სოფიოს.

„ეს რა—აია... მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირა, ხელი ყელზე იტაცა, მერე როკორც ბურთი ისე ახტა ლოგინზე, ისევ დაეცა. უცნაურად დაიკლაკნა. მაინც ცდილობდა თითქოს წამოდგომას და ხმის ამოღებას, მაგრამ მხოლოდ სახარულად იკლანკებოდა და ხრიალი ამოსდიოდა. სახარელი სანახობა იყო. თვალები გადმოვარდნილი, სახეზე საშინელება აღებეჭდილი... მაგრამ სოფიო ადგილიდან ვერ ინძრეოდა. გაშტერებული უცქეროდა, თითქოს იზიდავდა ეს საშინელი სურათი... ერთი კიდევ ღაც ძალამ ბურთივით აისროლა როტმისტრი, უცნაურად გადატრიალდა და გაიშოთა ლოგინზე უძრავად. ცოტა ხანს კიდევ გაშტერებული უცქეროდა სოფიო. მერე უცბად მოტრიალდა და კუთხეში დიდ სარკეს შეხედა, ვერ იცნო თავისი თავი, შეშინდა, პირზე ხელები აიფარა, მერე მოტრიალდა, დაინახა შლიპა და ტაკეტი, ჩაიცვა, დაიბურა. გამოვიდა მერე ოთახში, აქაც სარკე დახედა. მაგრამ იცნო თავისი თავი. „რა უცნაურად ამწყრია თმა“. იფიქრა, მოიხედა შლიპა, გაისწორა თმა, დაიბურა ისევ, მიეიდა მაგიდასთან, ჩამოუშვა ჭიქაში ზელტერის წყალი, ასწია ჭიქა დასალევად, კვლავ თვალში ეცა წინწკლების ბრწყინვა. არა დალია, ისევ დადგა ჭიქა. წამოვიდა გასაველელ კარებისაკენ, აქ გაიფიქრა: „რაღაც დამავიწყდა...“ მაგრამ რა. ვერ მოეგონა. მოტრიალდა, მიიხედ მოიხედა, მოჰკრა თვალი მეორე ოთახში ლოგინს.

„რა უცნაურად წევს,“ გაუკვირდა. მივიდა ისევ კარებთან, გაალო კლიტე, გამოიღო გასაღები, გავიდა, მოხურა კარი, ჩაეცხა გასაღებით და ჩაიდო ჯიბეში გასაღები, მაშინალურად. და კვლავ არ ეშვებოდა ახრი: „ღმერთო, რა დამავიწყდა? მაგრამ ვერ იგონებდა რა.

ჩამოვიდა კიბეზე, კარი გაულო ნამძინარევება მეკარემ. სქელი პირბადე ჰქონდა ქალს აფარებული. კიდევ გაიფიქრა მეკარემ: „იქ შიშველი იქნებოდი და აქ ბნელაში ასე იფარავ სახესა-ო... ახალია... არ მინახავს!! მიხურა კარი. ქუჩაში სიომ გაჰკრა სოფიოს სახეს. შეაღამე იქნებოდა, მიდიოდა სოფიო შინისაკენ, თავი გაბრუებული ჰქონდა, მარტო ისევ ერთი ახრი უტრიალებდა: „რა ექნა, რა დამავიწყდა.“ არ ეშვებოდა ეს ახრი, მაგრამ მაინც ვერ მოეგონა რა...

გაიარა ორი ქუჩა, აქ უცბად მოაგონდა: „ეტლი უნდა დავიქირაო, მე ხომ დავპირდი ვალიკოს... ჰო, ეტლი, აი ეს დამავიწყდა.!! დაიქირავა, ჩაჯდა და მალე მიაქროლეს სახლთან. ჩამოვიდა ეტლიდან „ფული უნდა მივცე იფიქრა... მაგრამ: „რედიკული!?!!.. რედიკული არსად იყო... რედიკული იქ, სასტუმროში დარჩა.

ი. გედევანიშვილი.

(დასასრული იქნება)

მეშვიდა“ ჯგუფი, შემადგენლობით 16 კაცი, რომელთაც გადმოიტანეს ორთქლმავალი მატყანა და მისი მოწყობილობა სოფელ ახკერპიდან (ბორჩ. მაზ.) და სამი თვის მუშაობის განმავლობაში ბრწყინვალეთ შეასრულეს დაკისრებული მათზედ ამოცანა, რისთვისაც შეტანილი არიან წოდეც დაფაზე.

ჩათახის ქარხანა.

(ნაწყვეტები პოემიდან: „ახალგაზრდა საქართველო“).

ძველი ბოლნისი
სარკინეთით
და სახუნდარით.
თფილისის ახლოს:
სამოკი ვერსი
გრძელი შარა-გზით.
ძველ საქართველოს
მეფეებს,
რომ ენახათ
სიზმრათ.
ებრძანებიათ:
„ღმერთმა დასწყევლოს!
ნუ ვკარგავთ დროს,
არ ღირს ოფლის ღვრათ!
ეკლნარი არის
გაუვალი მიდამოებით.
ტყიანი მთები,
არსად სავალი,
ნადირებით
სავსე ტყეები.
ნუ ვცდებით!
რათ გვინდა
რკინის მადნები?!
ჩქარა,
თანმხლები
სანადიროთ
ტყეში ჩათახის!“
ხაჩინ-ჩაია
მოწამე ამის.
სიჩუმის ნისლით
შემოსილი
იყო ჩათახის
მთები,
მღალი,
დაბურული
ტყით
და გაუვალი.
ზოგჯერ ყაჩაღთ
გაეარდნილი
ყმა,
დატანჯული
ბატონისაგან,
თუ გაიელდა
გზათ მიმავალი.
არვინ ფიქრობდა,
რომ ეს მიდამო
ჩათახისა
შეიქნებოდა
სამეფოთ შრომის,
საბჭოთა წყობის
წყაროთ სიმტკიცის.
დღე ეს ჩათახი
დემურდაგით
და წუღრაშენით
ხარობს, ზეიმობს
და აღარ ტირის.
დილით აღვიძებს
მას ხმა საყვირის
რომ იწვევს მუშებს
და მოუწოდებს:
„დაიმუშაევთ
რკინის მადნები!
ყველა ძმები ხართ,
ამხანაგები!
არავის ახსოვს
ვახტანგ, როსტომი,
ხშირათ რომ ქონდათ
შუღლი და ომი.
დღეს ყველას
ენას
დაჰკერებია
მიხა, ფილიპე
და კიდევ სხვები,—
თავდადებულთა
სახელები.
ჭმინავს მანჭანა,
რომ დაამზადოს
თუჯი და რკინა
ხარობს ქარხანა
და საყვირებით
ამცნობს ქვეყანას:
დღეს საქართველო
არს სამფლობელო
თუჯის და რკინის
და სხვა მადნების.
ყველა იცინის
ხარობს, ზეიმობს
რომ საქართველოს,
დღეს ახალგაზრდას
ველარ დააკლოს
ჭროლამ ჭარიშხლის
რომ გვიწყობს აედარს
და მძაფრათ ფრთებს შლის.

სანდრო ეული.

ვ. ბრიუსოვი

დაბადებიდან 50 წლის იუბილეისთვი

ვალერი გრიუსოვი.

ვალერი ბრიუსოვი დაიბადა 1873 წ. მოსკოვში, გაათლებულ ვაჭრის ოჯახში. მისი წინაპარი სწერდა ლექსებს, დრამებს და მოთხრობებს; მისი მამა ბეჭდავდა ლექსებს პატარა ჟურნალებში. ბრიუსოვმა მიიღო ფილოლოგიური განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში. როგორც პოეტი პირველად გამოვიდა 1894 წ. ის იყო მეთაური პოეტების-დეკადენტების. მისი ინიციატივით და უაბლოესი თანამშრომლობით იბეჭდებოდა კრებულები: „რუსი სიმვოლისტები", სადაც პირველად ჩაეყარა საძირკველი რუსულ სიმვოლიურ პოეზიას. შემდეგ ბრიუსოვმა გამოსცა ახალი წიგნები და ბროშიურები: „პოლ ვერლენი. რომანსები უსიტყვოდ. (მოსკოვი 1894 წ.), „შედევრ-კრებული ლექსებს". (მოსკოვი-1895 წ.). „ეს მე ვარ." ახალი წიგნი ლექსების. (მოსკოვი, 1897 წ.), „ხელოვნებაზე წერილები." (მოსკოვი 1899 წ.), „Tertia Vigilia. წიგნი ახალი ლექსების", Urbi et orbi-ახალი ლექსები (1903 წ.) მისი შესანიშნავი წიგნი „Венок" გამოვიდა 1906 წ. შემდეგ დაიბეჭდა 1909 წ. მისი წიგნი „Все напевы". ბრიუსოვის წინასიტყვაობით და მისი შენიშვნებით მოსკოვის გამომცემლობამ „სკორპიონმა" გამოსცა პოეტის ალექსანდრე დიბროლიუბოვის ლექსების კრებული, მიროპოლსკის „ლექსები", პუშკინის წერილები. ახალი მასალები. კრიტიკულ, და ბიბლიოგრაფიულ ეტიუდებს, რეცენზიებს ბრიუსოვი ათავსებდა „რუსულ არქივში", „ყოველთვიურ თხზულებებში", „ხელოვნების სამყაროში", და „ახალ გზაში" (ხანდისხან ავრელის ფსევდონიმით). 1900 წ. 1903 წლამდე იყო „რუსულ არქივის" რედაქციის მდივანთა და იღებდა მხურვალე მონაწილეობას „ახალ გზაში", სადაც, სხვათა შორის სწერდა პოლიტიკურ მიმოხილვებს. იღებდა აქტიურ მონაწილეობას მოსკოვის კრიტიკულ და მხატვრულ ჟურნალის „Весы"-ს გამოცემაში, როგორც ერთ-ერთი რედაქტორი. ისტორია ამ ჟურნალისპრის ისტორია რუსული სიმვოლიზმის. მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა ალმანახი: „ჩრდილოეთის ყვავილები". უკანასკნელ წლებში ის ათავსებს ლონდონის და პარიზის ჟურნალებში რუსული ლიტერატურის წლიურ მიმოხილვებს. 1914 წელში ბრიუსოვმა გამოსცა თავის ლექსების წიგნი: „Зеркало Теней", უფრო ადრე მან დაბეჭდა მთელი წიგნი მოთხრობების „Земная ось", რომელთაც ტერორა ედგარ პოეს გავლენა. გამოსცა წიგნი „საფრანგეთის ლირიკოსები". დაბეჭდა ორი დიდი რომანი: ერთი რომის ცხოვრებიდან ჟურნალ „რუსულ აზიაში" და მეორე გერმანულ რენესანსის ეპოქიდან—ჟურნალ „ვესებში". იმის კალამს ეკუთვნის დრამა „დედამიწა", რომელიც დაბეჭდილი იყო „ჩრდილოეთის ყვავილებში". მან დასწერა წერილები ტიუტჩევზე, ბარატინსკიზე, კაროლინა პავლოვაზე. პირველად უძღვნა წერილი მეცნიერულ პოეზიას, რომლის წარმომადგენელია საფრანგეთში რენე გილი. ბრიუსოვს უნდოდა გამოეცა ორიგინალური წიგნი ლექსების „Сны человечества", სადაც იმას უნდა მოეცა პოეტური ნიმუშები ყველა ეპოქების—დაწყებული საბერძნეთიდან და გათავებული სპარსეთით. ეს გეგმა იყო განხორციელებული მხოლოდ ნაწილობრივ. სირინის გამომცემლობამ დააპირა ბრიუსოვის მინუმენტალური გამოცემა 25 წიგნად, და კიდეც გამოვიდა თორმეტი წიგნი, მაგრამ გამოცემა არ არის დამთავრებული.

ბრიუსოვი მიემხრო ოქტომბრის რევოლიუციას და თუ ის წინად ოცნებობდა მოსკოვზე, როგორც მესამე რომზე, ახლა ის ადიდებს რუსეთს, როგორც რევოლიუციის ავანგარდს. ის ადიდებს პარიზის კომუნარებს და პერიკლს უპარტიპარებს ლენინს, უძღვნის ლექს ლუნაჩარსკის, შრომას, ჩაქუჩს და ნამგალს. უკანასკნელი მისი ლექსების წიგნებია: "Миг", „Последние мечты", „Дали".

ყოველად შეუძლებელია პატარა წერილში ბრიუსოვის დაფასება, ამისთვის საჭიროა დიდი მონოგრაფიები, რადგანაც მისი მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივია, როგორც პოეტის, პროზაიკის, დრამატურგის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, მეცნიერის და პოეზიის მასწავლებელის. ამ მრავალმხრივობით ბრიუსოვი მოგვაგონებს პუშკინს და შეიძლება გოეტესაც. ბრიუსოვი უთუოდ პოეზიის ენციკლოპედისტია.

უპირველეს ყოვლისა მან დაუბრუნა რუსულ პოეზიას პუშკინის პოეტური ფორმის გრძნობა და შეიძლება ითქვას, რომ თავისი კლასიკური ლექსებით და გამოკვლევებით ხელმეორედ აღმოაჩინა პუშკინი. ის თავიდანვე იყო რუსეთში სიმვოლიზმის პროპაგანდისტი („ფრანგი ლირიკოსები") და გაკაფა, მომზადა ასპარეზი ასეთ წმინდა სიმვოლისტებისათვის, როგორიც არიან ანდრეი ბელი და ბლოკი. თვით ბლოკი რამოდენიმედ მისი მოწაფეა. ბრიუსოვმა მისცა სახელი მის პირველ წიგნს: „Стихи о Прекрасной Даме". ბრიუსოვის პარადპირი მოწაფეა ნიკოლოზ გუმილიოვი, სერგეი სოლოვიოვი, რომლა-

ელევი, ვალოშინი და ბევრი სხვა. გუმილიოვმა ბრიუსოვი მეტაფორიულად რუსული პოეზიის პეტრე დიდათ გამოაცხადა. ელსნერს წამოსცდა ერთ იღბლიან ლექსში, რომელიც მიმართულია ბრიუსოვისადმი:

„Ты русской речи всадник медный,
„Стоишь над нами вознесен,
„Вперяя взоры в заповедный,
„Еще не завершенный сон.

ბრიუსოვმა სთარგმნა ლათინური პოეტები — ავზონი და ოვიდიუსი.

რუსულ პოეზიისათვის პირველად ბრიუსოვმა აღმოაჩინა თავისი თარგმანით უდიდესი პროლეტარული პოეტი — ურბანისტი ვერხარნი და უნახესი ვერლენი. თვით ბრიუსოვმა შექმნა ქალაქის პოეზია. მისი პოემა „Замкнутые“ იძლევა იმ ეპოქის სურათს, როდესაც მთელი მსოფლიო გადაიქცევა ქალაქად, როდესაც გაიმარჯვებს ინდუსტრია და ტეხნიკა.

თითქმის ყველა ის პოეტები, რომელნიც გამოვიდნენ ბრიუსოვთან ერთად ლიტერატურულ ასპარეზზე — ამოიწურნენ: — ბალმონტი, ვიაჩესლავ ივანოვი, სოლოგუბი და სხვები. მაგრამ ბრიუსოვი სდგას, როგორც ობელისკი და მისი გამძლეობა არა ჩვეულებრივია. მაშინ, როდესაც მისი მასწავლებელი და მეგობარი ბალმონტი ემიგრაციას მიემხრო და საყვედურებით სავსე ლექსებს სწერს, ვალერი ბრიუსოვი თავის „მესამე შემოდგომაში“ ქმნის საბჭოთა რუსეთის ნამდვილ ოპოლოგიას.

ბრიუსოვმა თითქმის შექმნა თავისუფალი ლექსი („დიდება ბრბოს“)

ვალერი ბრიუსოვი ფორმის მხრით ნამდვილი მასწავლებელია პროლეტარულ პოეტების. ის ლექციებს უყრთხავს მათ რუსულ ლექსთაწყობაზე და მისი გავლენა პროლეტარულ პოეტების ლექსებში თვალსაჩინოა. ის ამ შემთხვევაში ნამდვილი პროფესორია პოეზიის და მის ერთ წიგნში: „Опыты“ — მოყვანილია რუსულ ლექსთაწყობის ყველა ნიმუშები. იგი სონეტის (ასსარგადონი) და დანტეს ტერცინების ვირტუოზია. პოეზიაში ბრიუსოვი „პოეტების მასწავლებელია“ იგი შთაგონებული სალერია და არა მოცარტი.

ბრიუსოვმა პუშკინის შემდეგ პირველად აღადგინა რუსულ პოეზიაში ეროტიკა და ეროტიული პოეზია მან დაიშორა პორნოგრაფიას, რადგანაც მან მიიღო ვნება, როგორც მღვდელთ-მსახურება („Дамаск“). ორსულ ქალს ყველა პოეტები ვაურბოდენ, როგორც არა პოეტურ საგანს, მაგრამ ბრიუსოვმა შექმნა საკვირველი სიმფონია ორსულობის „Nabet illa in alvo“

ბრიუსოვი თითქმის კერპი იყო პოეტურ ახალგაზრდობის უკანასკნელ ხანამდე. ის პირველი მიესალმა ფუტურისტებს. ახლა ის ამოიღეს ნიშაბში მემარცხენე ფუტურისტებმა (ახლეე ჟურნალი „ლეფის“ მეორე ნოშრი: წერილი არეატოვის), მაგრამ მომავალი გამოარკვევს ბრიუსოვის როლს და, ჩვენის ფიქრით, მიანიჭებს მას ადგილს პორატინკის და ტიუტჩევის გვერდით, როგორც მაღალი გონების პოეტს.

ვალერი ბრიუსოვის ლექსები.

(თარგმანები ვალერიან გაფრინდაშვილის).

ხანჯალი.

ამოგლეჯილი ქარქაშიდან იგი თქვენს თვალებს
აბრმავებს, ისევ ალესილი, მზით შემკობილი.
მე თქვენთანა ვარ, როდესაც კი გრგვინავა გრიალებს:
სიმღერა არის ჭარიშხალის მუდამ დობილი.

რის ვერ ვხედავდი თავხედობას და ძლიერებას,
როცა ღუელ ქვეშ ჩაგეღუნათ თქვენ ყველას თავი,
ვეშურებოდი მე დუმილის ქვეყნიერებას,
სხვა საუკუნე იყო ჩემი შესაფარავი.

მთლად უსამართლო, ულამაზო და საზიზღარი
მეზარებოდა ამ სიცოცხლის მე მთელი წყობა.
ბრძოლის ნაღარავ! შენ გესმოდა ჩემი ხარხარი,—
მე არ მჯეროდა ბრძოლისათვის ეს შენი ხმობა!

მაგრამ როგორც კი გავიგონე ძველი საყვირი,
მაგრამ როგორც კი დავინახე ბრძოლის ალამი,
მე გიპასუხებთ—გაბედული, ვით ნიაღვარი;—
ზეციდან გრიგალს გაუგზავნე ჩემი ალამი.

ძველი ხანჯალი პოეზიის! მზე მოელვარე
მის ერთგულ ფოლადს გადაურბენს ცეცხლებით ეხლა.
მე ხალხთანა ვარ, ვით პოეტი მუდამ მღელვარე,
რადგან მე ვნახე გაბრაზებულ ულვების შეხლა.

სალამო.

მახსოვს ზაფხული, მახსოვს დაისი,
რომანტიული, ძველი მდინარე,
კიოლნი მოხუცი, უზენაესი,
მასზედ მნათობი სხივ-მომკინარე,

და ამ სალოცავ საყდარში შენი
ცქერა ძირფასი და აღმაფრენი.

სადღაც მღეროდა უცხო კრებული
უძველეს დროთა უცხო სიმღერას,
ხმები ნაცით დასუსტებული
კოდეკ აფრქვევდნენ სევდიან ტღერას

და იქ რეინზე უცრთდებოდენ
ტალღათა ჩივილს და მორჩილ ბგერას.

ო, ჩვენ გვიყვარდა და არ ვიცოდით
წუთია ეს თუ თვით უკუდავება.
საიდუმლოში ტკბილად ვიწოდით
ცაზედ ამოსულ ჩუქ ვარსკვლავებათ,

თითქოს ვჭრებოდით, მაგრამ გვეკეროდა,
რომ თვით გვეინე ჩვენ გვიმღეროდა.

ქალაქს.

დიფირამბი.

შენ, როგორც მეფე, ბატონობ ბარზე.
ზეცა დასერე ცეცხლის ცხრილებით,
დაუზოგველად შემოიგარე
შენი საზღვარი ქარხნის მილებით.

მინის, აგურის და ფოლადისა,
გადახახულო რკინის რკალებით,
ხარ ჯადოქარი სამარადისო
ადამანტიურ იდუმალებით.

როგორც დრაკონი უფრთო და მწყრალი,
ჩასაფრებული, სდარაჯობ წლობით,
დაუშრეტელი გაზი და წყალი
რკინის ძარღვებში დაგიდის ხმობით.

შენი სტომაჭი ხარბი, შმაგი,
ტმით ნადავლით ვერ გამაძღარა;
მასში ვრისხანებს ბოღმა ძლიერი
და სიღატაკე ღრიალებს მარად.

ჰკუაცბიერო! ავ მოსაზრებით
სივრცე კოშკებით შენ შემორკალე.
შენ საზეიმო დადგი ტაძრები,
სად მიეც ბინა წიგნებს და ქალებს.

შენ თვითონ იწვევ ულმობელ მტერებს.
შენ გამოიხმობ ურდოს თავებას.
და შავ მიტინგზე გზავნი ქიმერებს:
სიშმილს, სიგიჟეს, ამპარტავნებას.

და როცა ბროლის სახლებში მოდის
კვლავ გარყვნილება ცეცხლის სალამით,
მაღალ ჰიქებში ხმაურობს ოდეს
ტკბილენებიანი წუთების შხამი,

პირქუშ მონების მოღუნე მხრები,
რომ დაუდგრომელ მძიმე ხელებით,
რატაციონის მძლე მანქანები
კვეთდენ მახვილებს მეტ გახელებით.

ცბიერო გველო ჯადოსან ცქერით!
ბრმა გაბრაზებით და წყრომით სავსე,
სიკვდილის დანა გიჟი იერით
ენ თვით ამპრთე საკუთარ თავზე.

ბედნიერებას.

აელვარდება მომავალში სხვა საუკუნე,
რომლის ეარსკვლავი ეზმანება ქვეყნიერებას.
დადგება მაგრად გაბედული ადამიანი
თავის საკუთარ პლანეტაზე ზეცის წინაშე.

ერთი ქალაქი დედამიწას შემოსავს ყველგან
ბრწყინვალე მინის გამსჭვირვალე, ნათელ სამოსით,
რომ მოალერსე გაზაფხული იყოს მარადი,
ფურცელთა მწვანე შემოდგომით რომ არ ჭკნებოდეს;

რომ აღარ იყოს გათენება და დაღამება,
იყოს სინათლე, მოკლებული ჩრდილსა და ღრუბლებს,
რომ ეს ქვეყანა აღარ იყოს ჩემი, ან შენი,
რომ იგი იქცეს საკუთრებად მოარულ ხალხთა.

და დამონებულ სტიქიების დიდი მყრობელნი,
მთელი ბუნების ნებიერი ნამოღარები,
გამარჯვებულნი, მხიარულნი შეუდგებიან
ვით მარად ზეიმს, აღტაცებულ წლებისა მართვას.

თავისუფლებას და ერთობას, და ყოველივეს,—
რაც ჩვენ გვწყურია, აღსრულება რისი არ გეჯერა,
რასაც ვერავინ ჩვენთაგანი დაეწაფება,—
ისინი ერთად იგემებენ—უსაზღვროდ, სრულად.

და ნიღაბახსნილ საიდუმლოს სპეტაკი წუარო
მათ ცოდნის წყურვილს გააფთრებულს სწრაფ დაამშვიდებს.
ხორცად ქცეული, უმაღლესი მშვენიერება
დაუსრულებელ მათ სურვილებს უხვად დაატკბობს.

და დროთა სცლაში ჩვენ დავრჩებით როგორც ნაკელი,
ჩვენ ვინც დავეძებთ სიყვარულსა, ერთობას, რწმენას.
და ჩემგან ნამღერს წარსულ დროში ქება-დიდებას,
ვიცი, ქვეყანა მომავალი ვერ გაიგონებს.

და ჩვენ დავრჩებით ვით ზღაპარი, ბოდვა, სიზმარი,
კოშმარი ავი, უჭვეულო და საშინელი.
ისინი მოვლენ მაშინ, როცა კიდევ მივდიოვართ.
იმათ ყველაფერს გადუხდიან... ჩვენ ტყვილად ვკვდებით.

დე, იყოს ასე! დე, გამტეხე ბედო შავბიროო,
მომავლით სუნთქვა მაინც დიდათ სანუგეშოა.
არის თუ არა გზა ნამდვილი საფლავთა შორის,
მე ვარ, ვიყავი, უკვდავება მე არ მჭირდება!

კ ა ლ ა ტ ო ზ ი.

კალატოზო, კალატოზო, თეთრ და ფართე წელსაფარით.
რას აშენებ მანდ და ვისთვის?
— ხელს ნუ გვიშლი, ჩვენ ვაშენებთ მეტ სიჩქარით
საპყრობილეს ბოროტისთვის.

კალატოზო, კალატოზო ერთგულო და ნიჩბიანო—
მასში ვინღა ატირდება?
— ალბათ არც შენ—ბედნიერი და არც შენი ძმა სვიანი—
თქვენ ჭურჭობა არ გჭირდება.

კალატოზო! გძელ ღამეებს—უძიღო და ცრემლმფრქვეველი,
მასში ვინღა გაატარებს?
— შეიძლება ჩემი შვილი—ისეთივე მუშა წრფელი—
ბედი ერთხელ არ გვახარებს.

კალატოზო, კალატოზო, მოიგონებს იგი ალბად
მათ, ვინც ჩიდა ქვა და მტვერი.
— მოგვეცალე! ეი, დადუმდი შენ—მანდ, დაბლა —
თვითონ ვიცით ყველაფერი.

საბჭოთა აღმშენებლობა



ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური. (ხაჰეს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი-მრავალთაგანი.

დილის სრული ათი საათი იქნებოდა, როცა გამოიღვიძა ბეკო არტემიჩმა, მაგრამ არა, კი არ გამოიღვიძა, არამედ ძალით გაიღვიძა გაზაფხულის მცხუნვარე მზემ, რომელიც ის იყო ამოიწია სულ ზევით, ზევით; მოადგა ბოლოს ბეკო არტემიჩის ოთახს, და რა დაინახა ფანჯრიდან მწოლიარე ბეკო არტემიჩი, რომელსაც უზრუნველოდ ეძინა გაწიწმატებულმა მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე და ელეკტრონის სისწრაფით სტყორცნა მას პირდაპირ თვალებში თავის სხივები. და ბეკო არტემიჩსაც, ეუცხოვა ეს, შეკრთა, თვალები დაახუჭა და ოჰ, რას ხედავს?! მზე მის თვალებს და პირისახეს ეალერსება, ეციტინება, თითქოს ელაპარაკებაო: „ადექი, ზევით ჩემო ბეკო არტემიჩ დროა უკვე, ნუ არცხვენ დღის სიცხოველესო“. ან და კიდევ, თითქოს ემუქრებაო,—გიტატუკს, ჩავიცეამ პალტოს, დავიხურავ თავზე ჩემს ქოკეს, ავიღებ მერე ჩემს ტროსტს ხელში და... აი, გადი... გაყვარდეს ქალაქის ბაღში სეირნობა და დროს გატარება. დაუყარი თავს აქაურ ნასწავლებლებს, აფიცარებს და სხვა ნასწავლ ხალხს და დაუწყებ მე, მე ბეკო არტემიჩი ამით ქადაგს... ახ, სად იქნები მაშინ ჩემო სულის კლიტეე, ანუმჯა არშაკოვნა... ყოველთვის, რომ მისაყვედურებდი: არა ხარ ინტელიგენტი, არ იცი სხვებივით ქადაგო; აი, დედასა! იყავ შენ ერთი აქ და, მაშინ ნახავდი, თუ არა ვარ ინტელიგენტი, თუ არ ვიცი მეც ქადაგი... ისე გამრავალ მიტინგზე და დავიწყებ ლაპარაკს, რომ ყველა, მე შემომაცქერდება, დაშიკრამს ტაშს, ხალხი მიყვირებს ვაშას,—აი სწორედ ისე, როგორც ეს მანდ ერევანში უჭნეს ერთ სომხის დაშნაკცუტუნის დეპუტატს. ხო და, შენცა ჩემო სულის კლიტეე, ამას რა შეხედავდი შენებურათ სიხარულისაგან გადაკისკისებდი და შემდეგ კიდევ შეკვინტრიშტდებოდი და შეკვინტრიშდებოდი, ახ, რა მაღლიერი მეყოლებოდი მაშინ, რა მაღლიერი, მაგრამ ვაგლახ, რომ არ მყავხარ აქ და, რომ ვერ ვეღირსები შენი თაფლის ფერ თვალების მადლიან გადმოხედვას?!!—აქ ამოიოხრა ბეკო არტემიჩმა, მაგრამ წუთი და, კვლავ განაგრძო თავის ოცნება:—ოჰ, და იმას ვამბობდი: დაუყრი თავს აქაურ ნასწავლ ხალხს და დაუწყებ ქადაგს: ხალხნო და ჯამაათნო, მე ეს-ეს არის ეხლა ჩამოველი რუსეთიდან და... მაგრამ რომ მკითხოს ვინმემ, რომელი ქალაქიდან, რომელი გუბერნიიდან ჩამოდიო?!!—და აქ ჩაფიქრდა ბეკო არტემიჩი, ჩაფიქრდა იმისთვის რომ, სპეირო შეიქნა მისთვის მოიგონოს რუსეთის რომელიმე ქალაქის სახელი, რომ შემდეგ სიცრუეში არ დაიჭირონ, სირცხვილი არ ჰამოს.

— მოსკოვი?!.. პეტროგრადი?!.. არა, რაღაც ეს ქა-

საბჭოთა აღმშენებლობა



ქვაბის გადატანა ხოკორინის დაღმართის რბილ ნიადაგზე.

რებ ყოფას, ნებით თუ არ ადგები, ძალით აგაგდებ, ისე დაგწვავ და დაგდაგამ ჩემი სხივთა ცილითო.“

მაგრამ ბეკო არტემიჩს ყურადღება არ მიუქცევია მზის ცელქ სხივებისთვის. არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება თუ რათ ფართხალებდნენ და ჰიკჰიკობდნენ ეგრე ძალზედ მის ფანჯარასთან მაგარ ხეებზე ჩიტუნები და ისიც გადაბრუნდა რა მეორე გვერდზე, იწყო ფიქრი: თუ, როგორ იმოგზაურა მან წინა დღეს; ან და კიდევ: თუ როგორ უნდა გაატაროს მან თავის სამშობლო ქალაქში დრო.

— ახ, რა კარგი აზრი მომივიდა თავში, რა კარგი, როცა გადავსწყვიტე, რომ აქაურ ცნობის მოყვარე ინტელიგენციას უამბო უცხო-სენსაციური ამბავი, რომ მე ეს არის ეხლა დავბრუნდი რუსეთიდან, რომ იქ ბალშევიკები ყველს ხოცავენ, ხვრეტენ და ერთი არეულობა და ვაი—უბედურება აქვთ.., ახ, რა კარგი იქნება... დღესვე გადავალ მე, ქალაქში; გავიკეთებ ჩემ გალსტუკს, ავიღებ მერე ჩემს ტროსტს ხელში და... გაყვარდეს ქალაქის ბაღში სეირნობა და დროს გატარება. დაუყრი თავს აქაურ მასწავლებლებს, აფიცრებს და სხვა ნასწავლ ხალხს და დაუწყებ მე, მე ბეკო არტემიჩი ამით ქადაგს... ახ, სად იქნები მაშინ ჩემო სულის კლიტეე, ანუმჯა არშაკოვნა... ყოველთვის, რომ მისაყვედურებდი: არა ხარ ინტელიგენტი, არ იცი სხვებივით ქადაგო; აი, დედასა! იყავ შენ ერთი აქ და, მაშინ ნახავდი, თუ არა ვარ ინტელიგენტი, თუ არ ვიცი მეც ქადაგი... ისე გამრავალ მიტინგზე და დავიწყებ ლაპარაკს, რომ ყველა, მე შემომაცქერდება, დაშიკრამს ტაშს, ხალხი მიყვირებს ვაშას,—აი სწორედ ისე, როგორც ეს მანდ ერევანში უჭნეს ერთ სომხის დაშნაკცუტუნის დეპუტატს. ხო და, შენცა

ლაქები არ მომშორნს, ყველამ იცის. მე უფრო სხვანაირი ქალაქი უნდა მოვნახო, უცხო სახელის მქონე, რომ მაყურებელთ ყოველივე უცხო უამბო.

— და კვლავ ჩაფიქრდა ბეკო არტემიჩი, მაგრამ მას უცებ გაახსენდა, ოდესღაც, სადღაც გაგონილი ქ. იაროსლავის სახელი და იმანაც, ამ გახსენებით სახე გაბრწყინვებულმა, სიხარულით წამოიძახა:

— დიახ, იაროსლავი, იაროსლავი კარგათ გამახსენდა?!! — და აქ კიდევ სიხარულისაგან აღტაცებულმა ბეკო არტემიჩმა ერთი კიდევ გაიზმორა ლოგინში, შემდეგ გადისო „ანგლიკურად" (ბეკო არტემიჩის ტერმინია) გაპარსულ ულვაშებზედ ხელი და კვლავ განაგრძო:

— დიახ, იაროსლავი!.. წვალ და დავიწყებ ქადაგსა: ხალხო და ჯამაათნო, მიყურეთ და მისმინეთ მე. აქ კი ჩემს გალსტუკს ცოტათ ზევით აეწევ, რომ ყველამ შეხედოს, რომ მეც, „ჩაკასტიუმ-ჩაგალსტუკებული" ვარ და ასე ამაყად, თავდაჭერილი, დავიწყებ რიხიანად:

ეს ეს არის მე ეხლა რუსეთიდან ჩამოვედი და... (იაროსლავი კი მარაგად მექნება, რომ მკითხოს ვინმემ რომელი გუბერნიდანო, უცებ მივახალო: უკასუხებ იაროსლავიდან.) მე ეხლა რუსეთიდან ჩამოველი და... ახ, რომ იცოდეთ რა ამბავია იქ... დიდი და პატარა, კატა და ძაღლი ერთი მეორეში არიან დომხალიით არეულნი. ძაღლი-კატას ვერ ცნობილობს და პატრონი ძაღლს და აი, ამ ანარქიაში და უბედურებაში გამოდიან ბოლშევიკები და ელეტენ და ელეტენ ხალხს. არავისი შებრალება არა აქვთ, არავისი. ყველას ხერტენ ი უღმერთონი დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს, კატას და ძაღლს...—ეს ეხლა აქ მოულეთ გავითვალისწინე, თორემ იქ, რომ გამოველ იქ, მიტინგზე—ხალხში ისე ლამაზათ და მშატერულათ ვიტყვი, რომ ყველა ; აკვირვოს და აატიროს იმ საწყალ რუსეთის უბედურებამ... მერე კი მოვყვები ჩემს თავგადასავალს. ვიტყვი, რომ მე იქ მენშევიკურ პარტიაში დიდათ ვმუშაობდი და ვმოღვაწეობდი, რომ მე მიცნობდნენ თვით ჩხეიძე-წერეთელ-მარტოვი და არა თუ მარტო მიცნობდნენ, არამედ მათთან ერთად ვსადილობდი და ვთვრებოდი კიდეც თქო.

— ეს ცოტა გადაჭარბებული იქნება, მაგრამ არა უშავს... ისინი ვერაფერს ვერ შემიტყობენ და მეც მათ თვალში დიდი სულ დიდი კაცი შევიქნები და იტყვიან ისინიც გაკვირვებულნი:

— „ბიჭოს! ეს ვინ ყოფილა?! ამდენხანს რატომ ვერ ვიცნობდითო!!! და ყველა შეეცდება ჩემს გაცნობას, ჩემთან დაახლოვებას... და მეც და მეც, ხე-ხე ეს მინდა .. გუშინდელი ლაქია და მოსამსახურე ამ ქალაქში დიდებული კაცი გავხდები, ყველა ჩემი პატივისმცემელი და მოკეთე იქნება და... ბარიშნებიც, ბარიშნებიც, ახ, დავენატკლე ყველას, სულ ჩემთან იქნებიან, სულ მე დამიწყებენ არშიყობას... და მეც ერთ მათგანს, რასაკვირველია ყველაზე ლამაზს, ნასწავლს და მდიდრის შვილს ცოლათ შევირთავ... მართალია, ეს ღალატი იქნება ანუშკა არშაკოვნის მიმართ, რომელსაც უკვე დიდიხანია შევფიცე რომ მასზე ჯვარს დავიწერ, მაგრამ რა გაეწყობა; აქ მე არ ვიქნები დამნაშავე, არამედ ამისი მიზეზი იქნება ის დიდება და ღირსება, რომელითაც მე დამაჯილდოვებს აქაური საზოგადოება... და მართლაც რა განსხვავებაა, რა უფსკრულია ჩემის მომავალის და ლაქიობის მდგომარეობის შესახებ. იქ, რო ვიყავი ერევანში ლაქიათ, ყველა პატარა კატუნიათ მთვლიდა და მეც მოსამსახურე გოგოებთან მქონდა საქმე, მაგრამ დღეიდან კი, დღეიდან როცა ჩემი ჯგუფით და მოხერხებით ევრეთი დიდებული კაცი გავხდები, როგორ შემიძლია მოსამსახურე გოგო ცოლათ შევირთო, როგორ შემიძლია მოსამსახურის გვერდით გავიარო?!! მაშინ ხომ ყველა ამიკეკლდება, გამცინებს და მეც ხომ მოკვდები სირცხვილით ხომ... მაშ ვერა, ვერ შეგირთავ მოსამსახურე გოგოვ... და შენც მახატიე, ჩემი ანუშკა არშაკოვნა, მაპატიე, რადგან ამ დღეიდან ისეთი დიდებული და ღირსეული კაცი შევიქნები, რომ შენ ვერ გიკადრებ ცოლათ, ვერა... თუმცა ამაში დამნაშავე მე კი არა ვარ, არამედ ის ჩემი ღირსება და დიდებაა, რომელსაც შენგა საუბედუროთ ეკრე ადვილათ მოვიპოვებ მე.—და აქ ბეკო არტემიჩი გადაწვა თავის პალტოსკენ რომლის ჯიბიდან ამოიღო თავის ყოფილ საყვარლის ანუშკა არშაკოვნის პატარა ფოტოგრაფიული სურათი და დაწუწა ცქერა. შემდეგ კი, მოიმარჯვა საჩენებელი თითი და თითქოს მის წინ მართლა ცოცხალი ქალი დგასო, დაიწყო:—

— აი აქ,—დაადო თითი სურათს—ცოტათი ცხვირი ვერა გაქვს სწორი და კარგი... აქ კიდევ თმები ვერა გაქვს ისე ნაზათ დაწყობილი როგორც სხვებს... აქ კიდევ თვალები ნამეტანი დაჭუტული და გადმოქაჭული გაქვს და... ვერა, ვერა, ვერ შეგირთავ ანუშკა არშაკოვნა. მოსამსახურე და პროლეტარი კი არა მდიდარი და ნასწავლიც, რომ იყვე, მაინც ვერ შეგირთავ, რადგან... რადგან... მე, მე ბეკო არტემიჩმა, რომელიც მოვიპოვებ ასეთ სახელს და კაცობას, უფრო კარგი და ლამაზი ქალი უნდა ვითხოვო, ვიდრე შენა ხომ.. თუმცა, თუმცა, კიდევ მიყვარხარ, მაგრამ რა ვქნა... ძალით უნდა ამოვიგლიჯო ეს სიყვარული გულიდან, რომ მან ჩემი პატივი და დიდება არ შეღახოს, არ შებღალოს...

— და აქ ბეკო არტემიჩმა ხიზღით გადაისროლა კუთხისკენ სურათი, რის შემდეგ კვლავ განაგრძო:

— ხო და, იმას ვამბობდი: შეეცრთავ ერთ ლამაზ ქალს, შემდეგ მიეალ აქაურ მეწენეკურ ორგანიზაციაში და განვაცხადებ, რომ მე ერთი კარგი ჯამაგირიანი ადგილი მსურს და ისინიც იმ წამში, მე, რომელიც ჩამოვედი რუსეთიდან, მოუტანე მათ ამბები ბოლშევიკებისა და რომელიც აგრეთვე ერთად ვსადილობდი და ვთვრებოდი ჩხეიძე-წერეთელ-მარტოვსთან, მომცემენ ერთ დიდ ჯამაგირიან ადგილს და, აი გიდი! მიყვარდეს მაშინ ცხოვრება ბედნიერი და უზრუნველი. გვერდში კარგი ცოლი მეყოლება... ფულებიც ბევრი შეეხება და რა მენაღვლება, ამ დანაღვლიანებულ ჭოხის მაგიერ ერთს კარგ ეტაჟიან სახლს წამოვეჭიმავ. მაგრამ ახლა კი დროა წამოვდგე და გავსწიო ქალაქში.

— და ბეკო არტემიჩ წამოდგა ხანტათ, ჩაიცვა ტალახში და მტვერში ამოსვრილი დაცვეთილი შარვალი... ჩაიცვა დიდი ბრახუნა ჩექმები. შემდეგ მოიცვა პერანგზე მოლად გახუნებული ქილეტკა და გასძახა თავის დედა მაკოიას, რომელიც ფუსფუსებდა იქვე ოთახში მომდგარ სამზარეულოში.

— დედი, ერთი წყალი მომიტანე, პირი დამბანინე.

— ეხლავე შვილო, ეხლავე, დაგენაცვლოს დედა შენი მაკოია—მოისმა სუსტი მოხუცებული ქალის ხმა. ბეკო არტემიჩმა წყალის მოლოდინში ხელები დაფშვნიტა, გადისო თავის „ანგლიკურად" გაპარსულ ულვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აღმშენებლობა.

მეორე საბჭოთა მექანიკური ქარხანა შეკეთების დროს.



სამჭედლო ცეხი. მეორე საბჭოთა ქარხანა შეკეთების შემდეგ.

შებზედ ხელი და გაიარ-გამოიარა თავის გალიასავით ვიწრო ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ მაკოიაც გამოჩნდა კარებში დოქით ხელში.

საარაკო რამ ქმნილება კი იყო ეს მაკოია... პატარა, ღრმა მოხუცებულების თუ ცხოვრების სიღუხჭირით წელში ოთხათ მოღუნული, ყავარჯნით მოსიარულე და სახითაც მრავალ ნაოჭების გამო დამახინჯებული, რომელსაც ტანზე ეცვა დახეული კაბა და გძელი ხალათი და თავზე ეხურა მთლად მჭვარტლში და ქვაბის მურში გათხუპნილი თავსაფარი, უფრო წააგავდა ერთ ერთ ცხოველს ვიდრე ადამიანს... მაგრამ კმარა.

ბეკო არტემიჩის დედაა ის, დედა... და კიდეც უღიმის ბეკო არტემიჩი თავი დედიკოს, ულიმის და მხიარულათ უშვერს მას პეშვს.

გაათავა ბეკო არტემიჩმა პირის ბანა, ღრეჭით მადლობა გადაუხადა მაკოიას, აი სწორედ ისე, როგორც უხდიდა მას მადლობას, მისი აღა, როცა პირს დააბანებდა, რის შემდეგ პირ შემშრალებული მივიდა პატარა

სამკურთხა სარკესთან და დაიწყო შიგ ყურება.

მოწონს ბეკო არტემიჩს თავისი სახე. მაგრამ ყველაზე უფრო მოწონს თავისი ულვაშები, რომლებიც თავის აღას თუ სხვა ბატონების წაბაძვით „ანგლიკურად“ ჰქონდა—შეკრუჭილი... ასე რომ როცა დახედავს ბეკო არტემიჩი სარკეში ამ თავის ულვაშებს, თავი განათლებული კაცათ ჰქვს წარმოდგენილი, ისიც ხვალმტაც ოცნებებით ეძლევა ბედნიერებას. აი, ეხლაც ბეკო არტემიჩმა დაუწყო ცქერა თავის ულვაშებს და დიდხანს, დიდხანს უღიმოდა, ეალერსებოდა მათ. ბოლოს მოშორდა სარკეს, გაიკეთა კისერში მტვერში და ჯუჯუში განცრისფერებული, მთლად დაჭუჭმილი ყელსახვევი, რომელიც ეგრე გაგიჟებით მოწონდა ბეკო არტემიჩს და რომლითაც ის კიდეც ამაყობდა. ბეკო არტემიჩი კმაყოფილი თა-

— რათ გინდა დღეს შვილო, პალტო, ხომ უყურე რა საშინელი სიცხეა... შენიშნა განცვიფრებულმა მაკოიამ. ბეკო არტემიჩი ამ სიტყვებზე ცოტათი გაცხარდა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა და დინჯათ მიმართა მაკოიას:

— რათ მინდა?! მაშ არ შეხედოს ხალხმა, რომ მე პალტო მაცვია?!!

— სიცხე რომაა?!!

— სიცხე?!! რა უყოთ მერე?!! ის უფრო უარესი არ იქნება, რომ ვინმემ სთქვას—ამ კაცს პალტო არ ქონიაო... ან და ეს რა სისულელეა. სიცხის გამო ჩემი პალტო და ჩემი მორთულობა არ უჭვენო ხალხს?!!

— რა ვიცი, შვილო, რა ვიცი, როგორც გიჯობდეს ისე მოიქეცი მაგრამ... წუწუნებდა საბრალო მაკოია და

საბჭოთა აღმშენებლობა.



ქუაბი თბილისის სადგურზე გადმოტვირთვამდე.

ვის თავით და ტანისამოსით, ერთი თავისებურათ შეტრიალდა და გამოიჭიმა თავის დედა მაკოიას წინაშე.

— აბა, დედი შემომხედე, ხომ კარგი ბიჭი ვარ, ხომ კარგად მშვენის ეს „გალსტუკი“...

— კარგი ბიჭი მყვხარ შვილო კარგი. ყველაფერი ძაან გშვენის, დაგენაცვლოს დედა შენი მაკოია—მხრუნველობით ჩიფჩიფებდა მაკოია და თვალს არ აშორებდა ბეკო არტემიჩის მორთულობას.

— ეხლა, წადი დედა და, საუზმე მომიტანე, რძე, კვერცხი, ხაჭაპური, ხომ იცი მე ცუდი საჭმელების ჭამას არა ვარ ჩვეული.

— კი, შვილო, კი—წაიჩიფჩიფა მაკოიამ და გავიდა საუზმის მოსატანათ.

ცოტა ხნის შემდეგ ორივე დედაშვილი უსხდნენ სუფრას და საუზმეს შეუქცეოდნენ. გათავდა საუზმე და ბეკო არტემიჩიც წამოდგა ზედ. დაიხურა თავისი ქოკე თავზე. ჩაიცვა დაძველებული და გაცრეცილი პიდჟაკი და შეუდგა პალტოს მოცმას, რომელიც მრავალ ადგილას იყო გახეული და შემდეგ დაკერებული.

განცვიფრებულს, ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ასეთ ცხელ ამინდში, ასეთი სქელი საზამთრო პალტოს ჩაცმა:

— თუ არ იცი გაჩუმდი, რა შენი საქმეა!—მოუჭრა სიტყვა ბეკო არტემიჩმა მაკოიას პალტოს ჩაცმის შემდეგ, მოკიდა თავმსხვილა ჟუჟუებიან მზის ჯოხს, უკაცრავად ტროსტს, ხელი, რომელიც შუდამ მის ერთგულ და განუყრელ მეგობრათ ითვლებოდა.

ერთგული და განუყრელი მეგობარი მეთქი, ვამბობ მისთვის, რომ არას დროს არ იშორებდა ხელიდან და „ტროსტიც“ სულ დიდ სამსახურს უწევდა მას... ბევრჯერ სულ ბევრჯერ დაუწელია გგერდები ამ „ტროსტით“ ბეკო არტემიჩს სომხის მოქალაქეთა მშიერ ძაღლებისთვის, რომელთაც რაღაც მანქანების ძალით ათვალისწუნებული ყავდათ ის და როგორც კი დაინახავდნენ მას ქუჩაში მიმავალს ერთი ალიაქოთით და ვაი-უბედურებით გამოუტებოდა უკან, გიუვარდესთ მაშინ ბეკო არტემიჩის „ტროსტით“ ხელში ტრიალი. დაიწყებდა ტრიალს, წაღმა-უკუღმა ბრუალს და ბევრს სულ ბევრ ძაღლს აუტირებ-

და დედას, დაუზელდა გვერდებს და ბოლოს, როცა დაიფერთხდა ყველას აქეთ იქეთ, ისიც გამარჯვებული ერთს ამპარტავნულად გაიჭიმებოდა, გაიჯგიმებოდა, აწევდა მარჯვენა ხელით თავის ჯოხს, უკაცრავად, ტროსტს ზევით; აკოცებდა ზედ რამდენჯერმე, და მხიარულათ ეტყოდა ხოლმე:

— დაგინაცვლე ჩემო «ტროსტო» ამ მსხვილ თავში; შენ ხარ ჩემი დედაც და ჩემი მამაცო.

— და შემდეგ მხიარული ღიღინით გასწევდა თავის საქმისკენ.

ხო და, აი ასეთი ერთგული «ტროსტი» ჭინდა...ბიკო არტემიჩს და იმანაც მაგრად ჩაიბღუჯა ის ხელში; გაისწორა ფოკე და გასწია მახლობელ ქალაქში, რომ ყველას უთხრას ახალი უცხო ამბები რომ, ყველა მოხიბლოს, მოაჯადოვოს მით, რომ ისიც დიდი სულ დიდი კაცი გახდეს—ღირსეული.

ჩვენ კი მკითხველო, სჯობს ცოტათი უკან დავიხიოთ და პირადათ გავეცნოთ, თუ ვინ არის, ან რა წყლის კაცია ეს ბეკო არტემიჩი...

პეტრე სამსონიძე.

განპირი

დაფერილ სკამში ზის ერთათად შუბლშენაკოცი
და წაკუნული გატაცებით სწერს მაგიდაზე,
რომელზეც მუდამ დაფუშული სჩანს წიგნთა ჭოხი,
ხოლო თითონ კი მიმოფრინავს მსოფლიოს ცაზე.
მის წინ გაშლილი ბატაქეთა, კაპშტატ—კოლომბი,
ინდოეთისა ოკეანე, ბატაელთ ზღუდე,
საითაც ილტვის გემთა მწკრივი ტალღის გამპობი,
ჭარიშხლისაგან დაქსაქსული და გზა-კვალ მრუდე.
ჰხედავს სადაურებს, რომ აგებდა უდაბნოებში,
ღონდაგთ ძაფებს, გატარებულს ცხელ ნაშეებზე,
რომელიც მიდის ძვირფასსა და ოქროს ქვეყნებში,
სადაც უსაზღვრო, ფართე ლურჯ ცას ჰხელშეფიფობს მზე.
მის წინ ნავთისა შადრევანნი მორჩილად სჩქეფენ,
სდუღან გვირაბნი, სიმდიდრისა მისი მფარავნი
და კანტორები, ევროპას რომ თავსა ამცნობენ,
თავისებური ზარიანი ზარით მზარავნი.
მის წინ სდგანან ბატონები დამარცხებულთა
მის ის გაელენით, ვისაც ძალუძს ხალხის საზღვრები
თუნდ გაადიდოს, თუნდ შეკვეცოს, და შექმნას ისე,
როგორც ინებებს მის ი ნება და ნაზრები.
სულ თვალწინ უდგა ის ომები, რაც აუტეხა
იმან ქალაქებს უბოლოდ და უთოფზარბაზნოდ,
სადაც ციფრების მკვეთრ კბილებით დაღრღნა, დატეხა
საბედისწერო ყველა კვანძი კაცთა საავზნოდ.
იგი ზის სკამში შუბლშეკრული, ფიქრ-შენაჭედი,
კლმით დამყრელი თეთრ ქაღალდზე ციფრების შავის,
რომლითაც თავის სურვილ-ნებას დაუპყრო ბედი,
და მისი რისხვა მთელ მსოფლიოს თავზე დასხხავის.
ჰოი შენ, ოქროვ, იგი რომ გკრეფს უცნობ ქვეყნებში,
მუდამ უგონოდ მოქეიფე, ლოთ ქალაქებში,
მყუდრო სოფლებში, ვინ მოსთვალოს, როგორ და ვისგან:
მიწის სიღრმეში, მზეში, ცაში და ყველას, ყველგან.
ო, ოქროვ, ოქროვ, ორთქლის მგზავსო, ფრთხიანო მარად,
სისხლის ამღებო, დაუდგრომო, მშივ გასაპარად!

ოქროვ მბრწყინავო, ქარიშხალში იმედის გვარად,
ბედის მომცემო
კელავ ჩასამწარად;
ოქროვ, სიმდიდრევ მიწის გულსა,
ოქროვ, ნატეხო მზისა, იმედის
და ყოველად ცნობილ სიყვარულისა.
თუ რა ხატია, არ იცის თვითონ,
თუნდ ასდიოდეს თავს მთა ოქროთა!
იგი სულ ცივ სულ მარტოდ-მარტო,
როგორაც ნადაელს მრავალთა დროთა,
თავს დასტრიალებს, გარშემო ყველს
სადღაც არსებულ ლითონთა კრებულს,
როგორც მიწისგან საშვილისშვილოდ
მისდამი მიძღვნილს და მიპარებულს.
ბრძო იმას სწყევლის და ბრძო ისევ მას ჰმორჩილდება.
მისი ჰშურთ ბედი. ის ცივად სდგას, როგორც ოცნება.
ქვეყნიერების ტანჯვა, ცრემლი, გულთა ცეცხლდება
ყველას გულსა სწვავს, ხოლო მის გულს კი არა სწვდება.
ივი იმისთვის სიკეთილითით ცივი და ყრუა
და რაა მისთვის, რომელიმე თუ მოატყუა?
მოტყუებული იელის! იელის კარგად თუ ავად
და ისევ მასთან კარს შეაღებს გაუპედავად.
თითქო იყოსო ნაკადი მთაში,
მის ძლიერებას თან მააქვს ზღვაში
სარჩო, სიმდიდრე ბრწყინვალე სახით
და თვით მცირედი
გროშების წვეთი,
რომელსაც ჭარბენ ვაი—ვაგლახით.
ასე, ჩანთქმული-შუბლშეკონილ მჭმუნვარებაში,
ძლიერებისა შემატების მგრძნობი აწყარად,
თავის ციფრებზე წაკუზული და იმათ თვლაში
მეფეებს, ქვეყნებს თავს დაჰყიოს შავ ბედის ზარად.

ემილ ვერჰარნ.

მ. თოიძის სამხატვრო სტუდია.

სულ სამი წელიწადია რაც მხატვარმა მ. თოიძემ დაარსა საკუთარი სამხატვრო სტუდია, რომელმაც აუარებელი მოწაფეები მოიზიდა. წარწან სტუდიას მხოლოდ ორი კლასი ჰქონდა საბავშვო და მოზრდილთათვის. წელს კი მესამეც გაიხსნა. სტუდიაში ამ ჟამად სწავლობს 246 მოწაფე ქალ-ვაჟი. სწავლა დიდის ხალისით სწარმოებს. სტუდიაში ბევრი ნიჭიერი მოწაფეა, რომელთაც კარგი მომავალი აქვთ. მხატვარი მ. თოიძე ხელმძღვანელობს ფერადებით ხატვას, ნატურიდან ხატვას ირაკლი თოიძე; მხატვარი ალ. ბაგბეუქ-მელიქოვი მოსამზადებელს კლასში ხატვებით ხატვას და კომპოზიციას საბავშვო კლასში მხატვარი თ. თურქესტანოშვილი. გარდა ამისა სტუდიაში ცერაში ერთხელ სამშაბათობით იკითხება სპეციალური ლექცია მხატვრობაზე. სტუდიაში უფასოდ ასწავლიან 25 მოწ. სტუდიას სუბსიდიის სახით დახმარებას უწევს სახალხო განათლების კომისარიატი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზედ სტუდიამ მოაწყო თავისი პირველი გამოფენა მოწაფეთა ნახატებისა, რამაც საზოგადოების და პრესის ყურადღება მიიქცია.

ვ. ბ.

ჯორჯ გროსს.

(თანამედროვე გერმანელი პროლეტარული მხატვარი)

წვადით პროლეტარიატის მიტინგზე. შეხედით და გაიგონეთ, თუ როგორ სთვლიან იქ ადამიანები თავის ცხოვრების სრულებით უმნიშვნელო ეპიზოდებად. შეიგნეთ, რომ ეს იგივე მასაა, რომელიც ზეშაობს ცხოვრების ორგანიზაციისათვის, და ვინც მიიღებს მასში მონაწილეობას, მხოლოდ მას შეუძლია მოგვცეს მხატვრული ასახვა მწირომელთა რევოლუციონური იდეალებისა.

„Ecco hommo"-ს წინასიტყვაობიდან.

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება მთელი თავისი სიძლიერით და სინამდვილით ასახა ცნობილმა გერმანელმა მხატვარმა ჯორჯ გროსსმა.



დილის 5 საათზე.

სწორედ მას აქვს მრავალი თავისებური თემები. ჩასუქებული ბურჟუა და სისხლით დაცლილი პროლეტარი, ომის ჭარბეცხლში ფიზიკურად და, სულიერად განადგურებული და იმავე პროცესში ამაღლებული კაპიტალისტები და სამხედრო ყასტა იუნკრებისა.

ამ თემის გამლის დროს, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ერთი ლიტერატორი „გროსსი მაყურებლებზე პირდაპირ მოქმედებს ფიზიოლოგიურათ,— ილრიცები, კბილებს აღრჭენ, თვალები გაბნელდება, გინდა გადავარდე ხელჩართულ ბრძოლაში, ეცე, იყვირო და დახარჯო აფეთქებული ენერგია".

რასაკვირველია, გროსსის ასეთი ფენომენალური ხასიათები არ წარმოადგენენ ჩვეულებრივ საყურნალო კარიკატურებს. მისი საოთავები იწყება ვინცენტ ვან-გოგის, პაბლო პიკასოს და მარკუს შაგალის მხატვრული სახეებიდან.

მაგრამ გროსსმა ეს სახეები სულ სხვა გზით მიმართა, სხვა შინაარსი მისცა მათ, ანუ როგორც თვით ამბობს: „მე ვმოქმედებ არა როგორც მარტო მხატვარი, არამედ როგორც პოლიტიკოსიც. მე წევ-



ბურჟუი გერმანიისა.

რი ვარ კომუნისტური პარტიის: კალამი და ფანქარი,—არის ჩემი იარაღი, რომლითაც მე ვიბრძვი კომუნიზმისთვის მსგავსად იმისა, როგორც აჯანყებული პროლეტარიატი თოფით და შუბით ხელში."

სიღარიბე.

საკითხის ფართით დაყენება დიდ გასაშლელ ფონს აძლევს გროსსის ბრწყინვალე შემოქმედებას, რომელიც გვეუბნება ადამიანის იქ ტრაღედიის შესახებ, რომელშიაც ის ჩაყენა თანამედროვე იმპერიალისტურ—კაპიტალისტურმა საზოგადოებამ.

შალვა რადიანი.

ვის რა მისცა ომმა. ნახ. გროსხის.

მარიამ საფაროვი—აბაშიძისა.

(მოღვაწეობის 45 წლის თავის შესრულების გამო).

არ დავიწუნებთ მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა—ნათქვამი აქვს უკვდავ შოთას. არ დავიწყებს ისეთი მოყვრისა, როგორიც არის საფაროვი—აბაშიძისა არა თუ არ გვიზამს ზიანსა არამედ მოვალეობაა ყოველი შეგნებული ქართველისა. ყველამ ვიცით თეატრმა რა დიდი ღვაწლი დასდო ქართველ ხალხს. და მარიამ საფაროვი—აბაშიძისა უპირველესი მუშაკი იყო ქართული თეატრისა, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი იმდენს ვერას გახდებოდნენ რომ მათთან მარიამ საფაროვი—აბაშიძისა არ ყოფილიყო. იგი ყურთ სმენის დაკლებამ ჩამოაშორა სცენას. მაგრამ ეს გარემოება საბუთს არ აძლევს ქართველ საზოგადოებას დავიწუნებას მისცეს მისი მოღვაწეობა; ქართული თეატრი მოვალეა ყოველ წელს დანიშნულ დღეს იხსენიებდეს ამ დიად მუშაკს. ორმოცდახუთი წელია მას შემდეგ, რაც იგი შეუდგა გიორგი თუმანიშვილისაგან დაარსებულ 1878 წელში ქართულ მუდმივ დასში. დიდი წინააღმდეგნი იყვნენ მაკოს მშობლები, ნათესავები და ახლობლები მისი სცენაზედ გამოსვლისა, ბევრი სიმწარე შეხვედრია მას ამისათვის, მაგრამ ყველაფერი აუტანია და თავის სამოღვაწეო ასპარეზისათვის თავი არ დაუნებებია. თავისი მადლიანი ნიჭით მან შეაყვარა თეატრი საზოგადოებას.

საოცარი ნიჭი მძლავრად იხიდავდა თეატრისაკენ ყველას და თეატრში მოსიარულეთა რიცხვი თანდათან მატულობდა. და როგორ არ მიიზიდავდა ხალხს თეატრი როცა მის სცენაზედ თამაშობდნენ ერთათ ისეთი პირები როგორც მაკო საფაროვი—აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი და სხვ.

ორი დიდებული მსახიობი ქალი ყავდა ქართულ თეატრს—საფაროვი—აბაშიძისა და გაბუნია—ცაგარლისა, მაგრამ უპირატესობა რა თქმა უნდა საფაროვი—აბაშიძისას ეკუთვნის. დიდებულ ნიჭთან მას ხელს უწყობდა მისი განვითარება, შეგნებულობა და მუშაობის უნარი და ყოველ ამასთან საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომლით ის ხიბლავდა მსმენელს. მახსოვს როცა აკაკიმ დასწერა თავისი „სამგვარი სიყვარული“ ჩვენ საგანგებოდ ვეთხოვეთ საფაროვი—აბაშიძისას წაეკითხნა ჩვენთვის პირველი ნოველა. მან-ეს თხოვნა აგვისრულა და პირდაპირ გაგვაგიჟა-დღესაც ყურში მესმის მისი მომხიბლავი ხმა, უცნაური გამოთქმა.

მე ვერ ჩამოვთვლი მისგან შესრულებულ როლებს რადგან მრავალია და რომელს მიეცე უპირატესობა მეძნელება. თავისი ნიჭის წყალობით ის ვაკაცებლებდა რა გინდ უმნიშვნელო პიესა ან როლი ყოფილიყო, ხშირად საფაროვი—აბაშიძისა რეჟისორობდა კიდეც, განსაკუთრებით როცა დასი მოგზაურობდა პროვინციაში.

მ. საფაროვი—აბაშიძისა უყვარდა საზოგადოებას და აფასებდა დიდათ. თავისი პრწუინვალე ნიჭით და განსხვავებული მუშაობისა და მუყაითობის წყალობით მან უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ თეატრს და ამიტომ დღეს როცა უწყალო ბედმა იგი ჩამოაშორა სცენას, სცენა მაინც მოვალეა არ ივიწყებდეს მას, და მის სიცოცხლეში მისგან დამსახურებულ პატივისცემით ეპყრობოდეს. დავთავებ ამ წერილს რითაც დავიწყე:—არ დავიწყებს მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.—

დავ. კლდიაშვილი

გიგო ხეჩუაშვილი.

(მისი 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო)

ქართველ მუშებში მრავლად იყვნენ და მოიპოვებიან ისეთი მწერლები, რომლებიც მშრომელი ხალხის ღხინისა და ჭირვარამის მომღერლები არიან და რომლებიც დღემდი საზოგადოებიდან უყურადღებობის გამო უჩუმრათ ეწეოდენ თავის სასარგებლო და მუშათა კლასის გამომფხიზლებელ მოღვაწეობას.

ასეთ მუშა მწერალთა წრიდან არის გამოსული დღევანდელი იუბილიარი გიგო ხეჩუაშვილი (გ. თეძმისხეველი).

იუბილიარი მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში თავისი ლექსებით აღვივებდა მუშათა კლასში ბრძოლისა და უკეთეს მომავლის იმედს და აყვარებდა მას თავისი, მისთვის გასაგებ მდაბიო ენაზე დაწერილ ლექსებით ქართულ წიგნს.

პოეტი შესტრფოდა და შებაროდა მუშათა კლასის განთავისუფლებას, სცოცხლობდა და იბრძოდა ამ განთავისუფლებისათვის და ბოლებას ასე მიმართავდა:

„მაშ სიოე შესძარ მთები ტყეები,
აქარიშხალდი გაღონიერდი,
გადახიდულ კლდეს მძლავრათ შეები
და შეუნგრიე პატალო გეერდი.
დეე დაიქცეს ძველი სამყარო,
ოღონდ ახალი მკეიდრათ აშენდეს;
ამოჩეხჩუხდეს მაშრალთა წყარო
და შვების დილა მალე გათენდეს!“.

პოეტს კარგად ესმის სწავლა-განათლების მნიშვნელობა და მზგავსად მის მონათესავე მგოსნის ი. დავითაშვილისა თავის წრის ხალხში ამ მხრივ ეწევა ენერგიულ პროპაგანდას:

„სინათლის ბურჯი სწავლაა,
მის ყავარჯენი წიგნია“.

ანდა:

„მოვძებნოთ ძმებო, სინათლით,
რაც ბნელით დაგვიკარგია!“.

გ. ხეჩუაშვილი დაიბადა 1879 წ. გორის მაზრაში ს. ახალქალაქში, გაჭართველებულ დარიბ მეჭურჭლის ოჯახში.

7 წლის გიგო სოფლის სკოლაში შეყავთ მაგრამ იმავე წელს ისევ უკან გამოყავთ და ბატონთან მოსამსახურედ აყენებენ. აქ პატარა გიგო ბატონს მიხეილ გეგეჭკორს ფეხებს ფხანდა და ამგვარ დამამცირებელ მუშაობაში გატარა მან თავისი ღღენი 14 წლამდი. აქვე ნახა მან პირველათ ორი ქართული წიგნი „ყარამანიანი“ და „ვეფხის ტყაოსანი“ და დაეწყოთ მათს კითხვას.

14 წლის გიგო მანგლისში მიდის და მეფვრილმანეთან ნოქრად დგება. ქართული წიგნების კითხვას აქაც განაგრძობს. ამ ხანებში მას ხელთ უვარდება ანტონ ფურცელაძის „დიდმოურავიანი“ მან 16 წლისამ ერცელი პოემა უძღვნა გიორგი სააკაძეს.

ერთი წლის შემდეგ პოეტი ისევ თავის სახლს უბრუნდება. მუშაობს წვრილმან საოჯახო საქმეებზე. აქვე სწერს მოთხრობას „დურგლიანთ ქორწილს“, რომელიც მაშინდელ გაზეთ „ივერიაში“ რამდენიმე ფელეტონად დაიბეჭდა.

სახლშიც ვერ გასძლო დიდხანს და ისევ ტფილისს აშურებს. სამუზარო ფულის უქონლობის გამო ის ტივით ჩამოვიის ტფილისში. პირველ ხანებში რკინის გზის სადგურზე მუშაობს ვაგონების დამცლელ მუშათ, შემდეგ მუშაობს საჯინიბოში ეპისკოპოზთან და ბოლოს სტამბაში სადაც დღესაც მუშაობს.

იუბილიარს აქვს დაწერილი როგორც ლექსები ისე მოთხრობები და პიესებიც. ჩვენ ღრმათ გვწამს რომ მადლიერი მუშათა კლასი მას ღირსეულად დაუფასებს თავის 25 წლის მოღვაწეობას ამ იუბილეის გადახდით, რაც მას კიდევ უფრო გაამხნევებს და ძალას შემატებს თავის სასარგებლო მოღვაწეობის გასაგრძელებლად.

ძველი.

ნააზრევი.

(ქართულ ლიტერატურის შესახებ).

ყოველ ისტორიულ ხანას, როგორც ციკლს განსაზღვრულ სოციალურ ურთიერთობისა და საზოგადოებრიობისა, აქვს თავისი იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის საუკეთესო გამომხატველი და გამაჟარავებელი უსათუოდ თანამედროვე ლიტერატურაა. თუ ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქის იდეოლოგია ერთის მხრით საერთო დასკვნაა, საერთო ჯამი, სინტეზი მაშინდელი ცხოვრებისა, იმავე დროს ამ იდეოლოგიაში უსათუოდ ჩასახულია მომავალი ახალი ცხოვრების, ახალი ეპოქის მარცვლები, ზოგჯერ ძნელად სახილავი, შორი შორს გაბნეული. და რამდენად ამ დროის ლიტერატურა სჭერეტს ამ გაბნეულ მარცვლებს, რამდენად იგი გონებით თუ არა, გრძნობით, ინსტინქტით მაინც ყნოსავს ამ მარცვლებს, იმდენად ჩვენ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ ლიტერატურის აყვავების და აღორძინების შესახებ, ან და წინაღმდეგ შემთხვევაში მის დაცემა დასუსტებაზე.

ძველის ნგრევის და ახალის შექმნის ხანაში, დიდ ისტორიულ გარდატეხის ჟამს, რასაკვირველია ძველი და ახალი იდეოლოგიებიც ერთმანეთს შეეხლებიან. და აი აქაც ამ გარდამავალ ხანაში რამდენადაც შესძლებს თანამედროვე ლიტერატურა ფეხ და ფეხ მიჰყვეს ცხოვრებას, რამდენადაც ცხოვრების გარდატეხა ჰპოვებს გამოსახულებას ლიტერატურაში, იმდენად ჩვენ შეგვიძლიან ვიმსჯელოთ ამ ლიტერატურის ღირებულებაზე.

და თუ ამ თვალსაზრისით გადავხედოთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას რას დავინახავთ?

ოქტომბრის რევოლიუციამდე, ე. ი. იმ დიდ ისტორიულ გარდატეხამდე, რომელსაც აუცილებლად თან მოჰყვებოდა იდეოლოგიის ძირითადი გარდატეხა, ქართული ლიტერატურა შეიძლება დახასიათდეს ორი სიტყვით: პროტესტი თანამედროვეობის წინააღმდეგ, სულ მცირე გამონაკლისით. დამონებულ ერში რა თქმა უნდა ასეთი პროტესტი უმთავრესად ეროვნული ხასიათისა იყო. და ამ მხრით შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ლიტერატუ-

რამ დიდი სამსახური გაუწია ხალხს ძველის დანგრევაში. აქ ლიტერატურა შედარებით ძლიერი იყო ფორმით და შინაარსით, მაგრამ იმავე დროს მეტად სუსტი იმით, რომ მთავარ მიზნად დასახული ჰქონდა არა ძირითადი მიზეზი ცხოვრების სიღუხჭირისა, არამედ მხოლოდ შედეგი მისი—ეროვნული ჩაგვრა, ეროვნული მონობა.

მეორე მხარემ მაშინდელი ცხოვრებისამ, მთავარმა მხარემ, სადაც სწარმოებდა ნამდვილი, შეუპოვარი ბრძოლა ძველის და ახალის შორის, სოციალურმა ურთიერთობამ, სოციალურმა პირობებმა, მეტად ნაკლები გამოსახულება ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში. რასაკვირველია ჩვენ ელაპარაკობთ მხატვრულ ლიტერატურაზე.

მხატვრულ ლიტერატურის ასეთი მიდრეკილება მეტად დამახასიათებელია. იქ ცხოვრებაში სწარმოებდა შეუპოვარი ბრძოლა სოციალური გარდაქმნისათვის, აქ ლიტერატურაში მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ განთავისუფლებისათვის. იქ ებრძოდენ ძირითად მიზეზს, აქ ებრძოდენ შედეგს და რადგანაც შედეგთან ბრძოლა, რაც გინდ იგი ბრძოლა შეუპოვარი და თავდადებული იყოს, ვიდრე მთავარი მიზეზი მოსპობილი არ არის, მებრძოლი გამარჯვებას ვერ ეღირსება და ამიტომ ბოლოს და ბოლოს ქართული ლიტერატურა თითქმის უსაზღვრო პესიმიზმს ეძლეოდა, იმ პესიმიზმს, რომლის საბოლოო დასკვნაა: ხელოვნება ხელოვნებისათვის. გასაკვირი არ არის, რომ ჩვენში განმათავისუფლებელ ხანაში ქართული ლიტერატურა ვერ გახდა ხალხის ხელმძღვანელი. მშრომელი მასა ებრძოდა ძველს და გაჰყვა იმათ, ვინც ამ ძველს ახალი იარაღის საშუალებით ებრძოდა, ვინც ძველს შენობას საძირკველს უნგრევდა, მაშინ როდესაც ლიტერატურა ძველს ძველივე იარაღით ებრძოდა. ძველ შენობას მხოლოდ ფანჯრებში შუშებს უმსხვრევდა.

თებერვლის რევოლიუცია იყო მხოლოდ პირველი საფეხური, პირველი ეტაპი იყო საერთო რევოლიუციისა. აქ მებრძოლთ მხოლოდ ოდნავ შეისვენეს, სული ამოისუნთქეს და კვლავ შეუდგნენ საბოლოო შეუპოვარ, გენერალურ ბრძოლას. მაგრამ თუ საერთო სოციალურ გადატრიალებისათვის თებერვლის რევოლიუციას ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა, ქართულ ლიტერატურისათვის იგი პირდაპირ საბედისწერო აღმოჩნდა. ამ რევოლიუციის შემდეგ ქართველი ერი თითქოს ეროვნულად განთავისუფლდა, საქართველო ეროვნულად დამოუკიდებელი შეიქმნა და ქართულმა ლიტერატურამ თითქოს მიაღწია თავის მთავარ მიზანს და..... დასვენებას მიეცა. უფრო კი დაქვეითებას. მიუდგომელი ისტორიკოსი აუცილებლად აღნიშნავს, რომ მენშევიზმის ხანა საქართველოში ქართულ ლიტერატურის დაქვეითების ხანა იყო. ვერ შეამჩნია ქართულმა ლიტერატურამ, რომ მაშინდელი ეროვნული თავისუფლება, დამოუკიდებლობა მხოლოდ ბუტაფორია იყო და მეტი არაფერი. ფეტიში ფსიქო კერპად იქცა, მაგრამ „ქადაგად" კი ეფლო ლიტერატურა ამას ვერ შეამჩნევდა. იგი როგორც ფეტიშის მსახური მხოლოდ „სტატუს კვო"-ს დამცველი გახდა და ეროვნულ თავისუფლების უზრუნველყოფას ანტანტის იმედზე ამყარებდა, ისევე როგორც ზოგიერთი გულუბრყვილო და ბეცი პოლიტიკოსი. იგი ვერ ხედავდა, ვერ ამჩნევდა, რომ იქ ცხოვრებაში რა საშინელი საბედისწერო ბრძოლა სწარმოებდა, რომ მოახლოვებული იყო გენერალური შეხლა შეტაკება ძველის და ახალის. ილია ჭავჭავაძის დროის მწერლობაც ეროვნულ თავისუფლებისათვის იბრძოდა, ხოლო იმედს რუს იმპერატორებზე ამყარებდა. უკანასკნელ დროის ქართული ლიტერატურა მართალია რუს იმპერატორებს წყევლითა და კრულვით იხსენიებდა, მაგრამ..... იმედს მაინც მეორე „ბატონ-პატრონზე" ამყარებდა. ანტანტაზე. ორიენტი ფართო მასას ჩამოშორებოდნენ, ნიადაგს მოწყვეტილნი, არსებითად ერთსა და იმავე ძველი კლასის იდეოლოგიის გამომსახველნი იყვნენ. და ამიტომ გასაკვირი არ არის რომ ისეთმა შესანიშნავმა ეპოქამ, როგორიც არის რევოლიუციის ხანა ცხრაას ხუთიდან დაწყებული დღევანდლამდე ვერ ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში ნამდვილი მხატვრული გამოსახვა. ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ მოხდარა რევოლიუცია. ჯერ კიდევ არ დაბადებულა ნამდვილი, ჭეშმარიტი გამომხატველი თანამედროვე ცხოვრებისა.

ქართული ლიტერატურა შემადგენლობით, ფორმით და შინაარსით შედარებით თანამედროვე ცხოვრებასთან ჯერ კიდევ ძველია, მიუხედავად იმისა, რომ ბეური თვალსაჩინო ნიშნები ხელოვანი მოგვეპოვება.

ლიტერატურა ჩამორჩა ცხოვრებას, მაგრამ ცხოვრება ძლიერია, მეტადრე ახალი ჯანსაღი ცხოვრება. იგი ჩეკამს და მაღე დაჰბადებს ახალს პროლეტარულ ლიტერატურას, რომელიც თავის იმედს მხოლოდ მშრომელი მასის შემოქმედებითი უნარზე დაამყარებს და არა „უცხო" ბატონებზე, ზეცაში არ გაექცევა ცხოვრების სიღუხჭირეს, არამედ აქ დედამიწაზე მოახმარებს ხელოვნებას ცხოვრებას და ღამაზ პროლეტარულ სამოთხეს შექმნის ახალს სოციალისტურ მსოფლიოში.

და თუ ქართველი მწერალი მართლა დაუახლოვდება „მიწას" და მიუდგომელი, მშრალი გონებით ასწონ-დასწონის მდგომარეობას, იგი დამეთანხმება, რომ დღეს ქართული მწერლობა ისეთ პირობებშია, იმდენი შესაძლებლობა აქვს, რომ ვისაც ნამდვილად გული შესტკივა ქართულ ლიტერატურისათვის და მწერლობის უნარი აქვს, სწორედ დღეს შეუძლიან დიდი სამსახურის გაწევა.

დამისახელეთ ისეთი ხანა, როდესაც ქართველ მწერლისათვის „პონორარი" უცნობი ხილი არ იყო? დღეს კი ღამის კალთებს გაგლეყენ: „შენი ჭირიმე, მოდი პონორარი მიიღეო. დამისახელეთ ისეთი ხანა, როდესაც ქართული ლიტერატურა თითქმის ნაბიჭვრად არ იყო მიჩნეული? სტატისტიკა ხელთ არა მაქვს, მაგრამ დამერწმუნებით, რომ რაც ამ ორი სამი წლის განმავლობაში დაიბეჭდა ქართულად, წინად რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში არ დაბეჭდილა. და ეს ყველა ხდება სახელმწიფოს ხარჯით, მაშინ როდესაც უწინ ლიტერატურასაც და გამოცემასაც წმინდა საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა. ახლა უზრუნველყოფა მცხოვანი ხელოვანებისა, ხელოვნების ყველა დარგში. ესეც ხომ ჩვენთვის სრულიად უცნობი ხილია.

არა, ლიტერატურა ბევრითაა დაავალებული პროლეტარულ სახელმწიფოსაგან და დავალება კი გადახდას მოითხოვს.

ი. გედევანიშვილი.

მუსიკა საქართველოში.

განვლილ 1923 წელიწადს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მუსიკისათვის. ამ წელს ბევრი რამ გაკეთდა სამუსიკო დარგში და უპირველეს ყოვლისა, მოხდა სრული რეორგანიზაცია მუსიკის სწავლების საქმისა.

როგორც ვიცით, ჩვენ ორი უმაღლესი სასწავლებელი, ორი კონსერვატორია გვქონდა, რაც, რასაკვირველია, ნორმალური არ იყო ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც, სხვა არა იყოს რა, თითქმის ჯერ კიდევ არ გააჩნია დაბალი და საშუალო სამუსიკო სასწავლებლები. ამ რეორგანიზაციის წყალობით უმაღლესი სასწავლებლის ტიპი უფრო ჩამოყალიბდა. მოხდა ავტონომიის ძალთა გადარჩენა და შეკვეცუება, რაც ხელს უწყობს მათ ნაყოფიერად გამოყენებას.

შეერთების შემდეგ კონსერვატორიის შტატი მცირედად შემოკლდა და დღეს იგი 150 კაცისაგან შესდგება. მოწვეულ იქნენ ახალი, მეტად თვალსაჩინო ძალები. ასეთები არიან ბარერა და ვაგი — იტალიიდან, კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი და პროფ. კონსტანტინოვსკი — რუსეთიდან. ყველა ამათ დიდი სახელი აქვთ არა მარტო მუსიკალურ წრეებში, ფართო საზოგადოებაშიაც. განზრახული სხვა ძალების მოწვევაც, მაგრამ უსახსრობა ხელს უშლის ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას.

მეტი ყურადღება მიექცა თეორიტიული საგნების სწავლებასაც, სხვათა შორის, შემოღებულ იქნა და ყველასთვის სავალდებულოა აგრეთვე ქართული ენის შესწავლაც.

მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს მაინც მუსიკის სწავლების საქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, დემოკრატიზაცია. დაარსდა სამი ეგრეთწოდებული მუშათა ფაკულტეტი, რითაც კონსერვატორია მშრომელთა მასას დაუახლოვდა; ერთი დაარსდა პლეხანოვის პროსპექტზე, მეორე — ნაძალადევში, ხოლო მესამე — ავლაბარში. პლეხანოვის პროსპ. განყოფილებამ განვლილ წელსვე დაიწყო მოქმედება, ნაძალადევისა და ავლაბრისა მდგომარე წლის ივნისიდან იწყებენ მოქმედებას. ყოველი ფაკულტეტი ორი ნაწილისაგან შესდგება: ერთში მოწაფეთა ჩვეულებრივი სწავლებაა. აქ გადიან მუსიკის დაბალ კურსს. საუკეთესო მოწაფეები აქედან კონსერვატორიის საშუალო კურსზე იქნებიან გადაყვანილნი. მეორე ნაწილი არსებობს დიდებისთვის და ასწავლიან გუნდურ სიმღერას, სხვა და სხვა საკრავებზე დაკვრას, ნოტებიან ელემენტარულ ცოდნას, მუსიკის ისტორიას და სხ. ეს ფაკულტეტები, ეჭვი არ არის ძალიან შეუწყობენ ხელს მასაში მუსიკალური ცოდნის გავრცელებას.

გაწეულის შემდეგ კონსერვატორიაში დარჩა სულ 1250 მოწაფე. ფაკულტეტებზე განხრახულია 600 მოწაფემდე მიღება.

კონსერვატორიის მთავარ ორგანოს დეკანების საბჭო წარმოადგენს. კონსერვატორიის სათავეში სდგას რექტორი და ორი პროორექტორი.

ეგრედ წოდებული აკადემიური ხორო, რომლის მდგომარეობაც წინად ძალიან გამოურკვეველი იყო, შარშან კონსერვატორიის ხელში გადავიდა.

„მუზიმ" შარშან პროფინციასაც მიაქცია ყურადღება. ქუთაისში დაარსდა მუსიკალური ტექნიკუმი, სადაც უკვე 200 მოწაფეა. მუსიკალური სასწავლებელი არსებობს თელავში (120 მოწ.) და სამტრედიაში (220 მოწაფე).

ყოველივე ამას, — მაღე. ეჭვი არ არის, სათანადო შედეგი მოჰყვება. ორი-სამი წელიწადია რაც მუსიკას ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა, და ნაყოფი უკვე თვალსაჩინოა. გაჩნდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები, მომღერალნი, სხვადასხვა საკრავზე დამკვრელნი. კონსერვატორიის მოწაფეთა შორის არიან ისეთი ძალები, რომელნიც, მცოდნეთა სიტყვით, ახლო მომავალში არა მარტო ჩვენში, ჩვენი ქვეყნის გარეთაც გაითქვამენ სახელს.

ოპერასაც შარშან (წლევანდელი სეზონი) გაცხოველება დაეტყო. მოწვეულ იქნეს ახალი ძალები და, რაც უფრო საყურადღებოა, გაჩნდა ახალგაზრდა ქართველ მომღერალთა მთელი დასი. ასეთები არიან: ქალები მამამთავრიშვილი, ექსანიშვილი, გაბაშიძე, კაკები — ქუმსიაშვილი, ქაშაჭაშვილი, ჭარკვიაძე, ლორთქიფანიძე, ინაშვილი-ვენძაე და სხვები. თითქმის ყველა ამათ სამუსიკო სწავლა აქ, ადგილობრივ, შეიძინეს და ყველანი უკვე იღებენ სათპერო სცენაზე.

კომპოზიციის დარგში დიდ იმედს იძლევიან რამდენიმე ახალგაზრდა, მათ შორის ფირცხალაძე, შ. თაქთაქიშვილი და სხვები.

დასასრულ, განვლილ წელს დაიდგა ახალი ორიგინალური ოპერა ზ. ფალიაშვილისა „დაისი", რომლის შესახებ წერა და ლაპარაკი ჯერაც არ შეწყვეტილა.

ქანდაკება.

წარსული წელიწადი იშვიათი წელიწადია ქართული ხელოვნების ისტორიაში.

ათეული საუკუნეთა მანძილზე მიმჭრალი და უჩინარქმნილი ერთი დარგი სახიერებითი ხელოვნებისა მოევლინა საქართველოს დედაქალაქს და თავის გარდუვალი, უკვდავი თვალებით გამოიყურება შოთას პროსპექტზე.

გასულ წელს აიდგა ფეხი ამ უმშლელესმა და ურთულესმა დარგმა ქართული ხელოვნებისამ, ქართველის მარჯვენით გამოკვეთილმა და სრულყოფის გზაზე დაყენება სახიერებითი ხელოვნება.

საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანობის ზეგავლენით განდევნილი ქანდაკება წელს პირველად გამოიფინა საჯარო ადგილზე საქვეყნო მსჯავრის წინაშე.

ჩვენში საკმაოდ განვითარებულ მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, მუსიკას, მოვლაბა შეოთხე მოზაიკე ხელოვნებისა, ურომლისოდაც ფარულადად გამოიყურებოდა მისთვის დატოვებული საპატიო ადგილი.

წელს დაიდგა სახელმწიფო ოპერის გვერდით აკაკის ძეგლი, და ხელოვნების ტაძრის გვერდით — ძეგლი ნინოწმიდისა. რა თქმა უნდა ეს არ ჩაითვლება უაღრეს მიღწევად, ეს არის მხოლოდ ახლად ფუხადგმულ ბავშვის ატატინება, რომელიც თანდათანობით მუხლს მოიმაგრებს და დალაგებით ამეტყველდება.

არა მარტო ჩვენი დედაქალაქი, არამედ ყველა დაბა-ქალაქებს მოეფინება საჯარო მოედნებზე ამართული ძეგლები, ქართულის სტილით და ქართველის მარჯვენით გამოკვეთილი.

ქანდაკება, ცხადია, მხოლოდ ძეგლებით არ განისაზღვრება. მაღლიანი მარმარილო უნდა აზიმზიმდეს უდრკალი ხელით გამოკვეთილ ნაკეთებად ხელოვნების სასახ-

ლეში. ჩვენი ამ დარგში დაქვეითება უნდა შეიჭიროს იმ დონემდე მაინც, რომელზედაც სდგას თანამედროვე ევროპიული ქანდაკება. ჩვენს მუზეუმში უნდა განსახიერდეს ანტიურ ქანდაკებათა ასლები, ჩვენს თავლს უნდა ამაყაფდეს ქართველი ვენერა, ქართველი აპოლონი, ქართველი დიანა და სხვ.

ამისი თავდები გახლავთ საქართველოს სამხატვრო აკადემია, სადაც ქანდაკების დარგზე მუშაობს ბევრი ნიჭიერი და ენერგიული ქართველი ახალგაზრდა.

მაგრამ აკადემიას ჯერ ბევრა რამ აკლია. აკადემია ჯერ ვერ დამდგარა სათანადო სიმაღლეზე. სამსისოდ მას არ გააჩნია არც სახსარი, არც ბინა არც სხვა შესაფერი პირობები.

როდესაც ეს აკადემია დადგება სათანადო სიმაღლეზე, როდესაც იქ მოსწავლე ახალგაზრდობას მიეცემა გზა თავისი ტეხნიკურის ცოდნის განვითარებისა და გამოყენებისა, მაშინ დაუდგება ქართულ ქანდაკებას სასიკეთო გაზაფხული და ჩვენი სახიერებითი ხელოვნება შეავსებს იმ ცარიელ ადგილს, რომელიც ისტორიულად არის მისთვის გამზადებული.

წელს ერთი ახალი მოქანდაკეც გამოვიდა ხელოვნების ასპარეზზე. მე მოგახსენებთ ვახტანგ კოტეტიშვილზე, რომელმაც გამოჰკვეთა ალ. ყაზბეგის ბიუსტი.

მეორე ახალგაზრდა მოქანდაკე მიშა ჭიაურელი ევროპაში იმყოფება. აქ აკადემიაშიაც არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელსაც გზის მიცემა სჭირდებათ.

ქართველი ხალხის უდიდესი უბედურობა გახლავთ ჩვენი ხელმოკლეობა და სიღატაკე. ხელოვნება და სიღარიბე ეკ არასდროს არ ყოფილან თანამგზავრები. განსაკუთრებით ეს ითქმის ქანდაკებაზე.

მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლიან ჩვენში სული ჩაუდგას ხელოვნებას და კერძოდ ქანდაკებას. სხვაფრივ ჩვენი ქანდაკება სასაფლაოს ძეგლების დონეზე გაიყინება.

ამისდა მიუხედავად იმედიანად შევყურებთ მომავალს, რადგანაც ქართველი ხალხის თავშენახული და დაუბარჯგვნელი ნიჭი ამ დარგში მხოლოდ ეხლა იდგამს ფეხს და იგი ბუნებრივის აუცილებლობით ფართოდ გაშლის ფრთებს.

ნარკანი.

მუსიკალური ტეხნიკუმი ქუთაისში.

მიმდინარე სამოსწავლო წელს, ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმში დიდი წარმატებითი მუშაობა სწარმოებს. გაფართოვებულია სწავლის საქმე და საზოგადოებაც მხარს უჭერს ტეხნიკუმის მუშაობას. ტეხნიკუმის ხელმძღვანელობა ენერგიულად მოკიდეს ხელი საქმეს, მათ შეგარონვეს ქუთაისში მყოფი საუკეთესო მუსიკალური ძალები. შეადგინეს სიმფონიური ორკესტრი. მოაწყეს რამოდენიმე სიმფონიური კონცერტი. კონცერტები იმართები მოწყობით და მშრომელი ხალხისათვის კეთრობით, ხოლო ორშაბათობით იმართება სპეციალური სიმფონიური კონცერტები საერთოდ ყველასთვის. კონცერტებს საზოგადოება დიდის ხალისით ესწრება და კმაყოფილიც არის. ამასთანავე გამგეთ განზრახვა აქვთ, რომ კონცერტები მოაწყონ თეატრში, რათა ამით საშუალება ჰქონდეთ რომ მეტი საზოგადოება მიიზიდონ. ამის შესახებ შესაფერი შუამდგომლობაა აღძრული, ამასთანავე დაარსდა ტეხნიკუმში მასწავლებელთა სიმებიანი „კვარტეტი“ რომელიც დროგამოშვებით გამართავს კარერულ კონცერტებს. აგრეთვე განზრახულია მოეწყოს ლექციები ქართული მუსიკის შესახებ. საერთო უნდა ითქვას რომ ტეხნიკუმის ხელმძღვანელნი დიდს ცხოველმყოფელობას იჩენენ ნაკისრ მოვალეობისადმი და პირნათლად ასრულებენ მას. ახალმა დირექტორმა ი. აბაშიძემ ეს დღეებში სახალხო განათლების კომისარ. „მუზო“-ს გამგეს წარუდგინა გეგმა ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმის მომავალ მოქმედების შესახებ.

ვ. ბ.

გიგლიოგრაფია.

თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები სიმონ ხუნდაძის. სახელმწიფო გამომცემლობა.

ეს წიგნი ქართულ პოლიტიკურ-ეკონომიურ ლიტერატურაში პირველი ორიგინალური ნაშრომია, რომელშიც განხილულია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ძირითულ საკითხებთან. წიგნის პირველი თავი მიძღვნილი აქვს ჩეინისა, ნახშირისა და ზოგადათ ნავთის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

შემდეგ ოთხ თავში გაშუქებულია ნავთის უდიდესი როლი მრეწველობის სხვადასხვა დარგში და უსარაფსა, რომელიც მან მოიპოვა ჭეშმარიტთან, როგორც საბომბო მასალასთან შედარებით. მკითხველის თვალწინ იშლება იმ ფარული თუ აშკარა ბრძოლის ეპოქა, რომლის მონაწილენი არიან დიდი სახელმწიფოები და ძალები, რომელნიც, მართალია, არ ჩანდენ საერთაშორისის კონფერენციების წინა რიგებში, მაგრამ ამ კონფერენციების ფაქტიური ხელმძღვანელი და ტონის მომცემნი იყვნენ.

ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენები წიგნში ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და შემთხვეული წინააღმდეგობათა რკალი, რომელშიაც ჩაეარნილია თანამედროვეც კაპიტალისტური მეურნეობა და რომელიდანაც გამოსავალი თითქოს არ ჩანს. ეკანასკნელ თავში ავტორი ეხება სწორედ ამ გამოუვალ წრეს და ასახავს იმ გზას, რომელსაც გამოუყვანართ ჩიხიდან.

ავტორს ახასიათებს სადელეტანო სტილი რაც წიგნს აროპეულ ნაშრომის პრეტენზიას. ამას გარდა წიგნი დატვირთულია ჭარბად ციტატებით, რაც ხშირად იწვევს გამეორებას.

მეტად მცირეა და სუსტი სტატისტიკა, რომელიც უკეთესი იქნებოდა ზოგი ეკონომიური მოვლენის ილუსტრაციისთვის; სტატისტიკურ ცხრილებს აქვთ პრიმიტიური რიცხვების ბასიათი უმეტესად და წარმოადგენენ უფრო.ნელ მასალას, ვიდრე დამუშავებულს. წიგნში მკოთლად არი გაშუქებული რუსეთის როლი მსოფლიო ნავთის მეურნეობაში იომამდე.

სასურველი იქნებოდა ავტორი უფრო ფართოდ შეხებოდა ნავთის მრეწველობის პერსპექტივებს აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში, (ტუანახეულის შესახებ ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი). გაკვირვებას იწვევს ასეთი ტერმინების ხმარება: „სნაიოდები“, „ბრონი,“ „ბაისინი,“ „სადაშენები“ და სხ.

წიგნი კარგადაა გამოცემული, ფასი არაა აღნიშნული.

წ.

საქართველო, ადერბეიჯანი და სომხეთი მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა გ. გეხტმანი. ცეკავშირის გამოცემა.

ეკონომიური გეოგრაფია ახალი მეცნიერებაა. იგი დიდიხანი არაა რაც გამოყვა ეკონომიურ მეცნიერებას და თავის თხემეტად განიხილავს ადამიანის ეკონომიური შემოქმედება დაკავშირებით იმ ბუნებრივ და კულტურულ წრესთან, რომელშიაც ადამიანს თუ სახელმწიფოს უხდება სამეურნეო მეურნეობის წარმოება.

გეხტმანი საქართველოში პირველია, რომელიც პოპულიარიზაციის უკუთებს ამ მეცნიერებას, ხოლო ზემოხსენებული წიგნი, პირველი ცდაა, სადაც ეკონომიური ადგილი ამიერ-კავკასიის ნაწილის ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიმოხილვას. წიგნის 124 გვერდზე მოკეთებულია სისტემატიური დალაგება ეკონომიური გეოგრაფიის

პრინციპების მიხედვით საქართველოს ეკონომიური და გეოგრაფიული მოღვაწეების, გაშუქებულია საქართველოს მეფურნეობის ყოველივე დარგი და ყოველგვარი ეკონომიური შესაძლოება. დანარჩენი ფურცლები მიძღვნილი აქვს სომეხეთისა და ადგრბეიჯანის ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიმოხილვას. წიგნში განსაკუთრებული თავებია ამიერ-კავკასიის ზოგად გეოგრაფიას და საქართველოს გზებისა და ტრანსპორტის მეგობრობის შესახებ.

ეისაც სურს ამიერკავკასიის ეკონომიკაში გაერკვეს, ჭკვნდეს ზოგადი წარმოდგენა მის ფლორასა და ფაუნას შესახებ, მისთვის აუცილებელია ამ წიგნის შეძენა. თუმც ამიერ-კავკასიის ეკონომიკის და გეოგრაფიის სხვადასხვა მხარეების შესახებ მოიპოვება ნაშრომები, მაგრამ მთლიან სურათს ამიერ-კავკასიის მეურნეობის და გეოგრაფიის იძლევა ზემოხსენებული წიგნი, სადაც ფრიად კონსპექტიურად არის გაშუქებული ბევრი მოღვაწეები რაც ადგილის სიმცირით აიხსნება. ავტორი სარგებლობს რამოდენიმედ მოძველებულ სტატისტიკურ ცნობებით, რაც წიგნს დეფექტად ჩაეთვლება. წიგნში არის შეცდომები, როგორც კორექტურული, ისე საერთო დაუდევრობის შედეგი, რახედაც ავტორს დროზე მიეყოთივეს

წიგნი უფრო მოიგებდა, რომ მას დართული ჰქონდეს დიაგრამები და კარტოგრამები. ჟანასწინელი ასეთი წიგნისათვის აუცილებლობას წარმოადგენენ. იმედია, მეორე გამოცემისთვის ეს შეცდომები გასწორდება.

წიგნი შეიცავს 188 გვერდს. ფასი არაა აღნიშნული.

წ.

კ. მარჯანიშვილი. (ახმეტელს) ახ, ნეტა ქართველი ხელოვნებიც ასეთ სალტომორტალს აკეთებდეს!

პროლოგი მოქმედება ეპილოგი

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. კახიანი.

გამომცემელი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ს. ს. მ. უ. ს. 1-ლი სტამბა, პოლიგ. განყოფილ. პლეხ. პრ. 91. ტირაჟი 1000 ც.

საგანგებო დადგენილება № 46.

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა

24 დეკემბერს 1923 წ.

ქალ. ტფილისში შემოღებულ იქმას გადასახადი გვიან ვაჭრობის ნებართვებზე.

1) გვიან ვაჭრობაზე გადასახადი გადახდება ყველა იმ სავაჭრო დაწესებულებების (რა დარქმაც არ უნდა ეწოდებოდეს იგი, გარდა ამ დადგენილების შესაბამ მუხლში აღნიშნული გამონაკლისისა) შესატორნეო, რომელნიც აწარმოებენ ვაჭრობას ნორმალურ დროს შემდეგ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ნორმალურ დროთ, რომლის განსაზღვრაში სწარმოებს ვაჭრობა, ითვლება ის საათები, რომლებიც თვითეულ სავაჭრო დარგისათვის გათვალისწინებულია აღმასკომის მიერ 1923 წლ. 17 მარტის № 5 საგანგებო დადგენილებით.

2) გვიან ვაჭრობაზე გადასახადისაგან განთავისუფლებულია: ადგილები, აბანოები, სასტუმროები, მიწყობილი ოთახები და საკუთარი დარაბები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასტუმროებსა და მოწყობილ ოთახებში არსებული ბუფეტები და რესტორანები იბეგრება საერთო წესით.

3) გვიან ვაჭრობისათვის თვითეულად გადასახადი განისაზღვრის შემდეგი რაოდენობით:

1 ხარ. სოვკ. 6 ჩერვონ. მან. 2 ხარ. 12 ჩერ. მან. 3 ხარ. 20 ჩერ. მან. 4 ხარ. 30 ჩერ. მან. 5 ხარ. 40 ჩერ. მან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბერით, ხორცით, თევზით და მწვანეულობით სავაჭროებისათვის დაწესდეს 50% შეღავათი.

4) გვიან ვაჭრობის უკანასკნელ საათებათ ისათვალოს:

1) მანუფაქტურის, სვკალანტერეის, თამბაქოს, წყნარის, საკანცელარიო ნივთების, საკოშტიო, საოფეცერო, ტანსაცმელის, ფეხსაცმელების, ტყავეულობის, ქორქლეულობის, ოროტელების, საათებიანი საქონლის და ღვინის საწყობებისათვის შაბათობით და უქმე დღეების წინ-საღამოს 7 საათი, დანარჩენ დღეებში, გარდა ცეროა ლქმისა, საღამოს 9 საათი.

2) გასტრონომიულ, ხილეულობის, საკანდატერების, გამგრილებელ სასმელების და სახალეხინოს საავაჭროთათვის ყველა დღეებში ღამის 12 საათი.

3) სატრაქტიორო დაწესებულებათათვის ყველა დღეებში დილის 3 საათ.

4) სახანრო მოეცხებნე მოთავსებულ საავაჭროებათვის (დარაბებში, ბუდკებში მაგიდებზე) ყველა დღეებში ხაფხულებით 1-ლ მაისიდან 1 ოქტომბრამდე) საღამოს 7 საათ., ხოლო ზამთრობით (1 ლ ოქტომბრიდან 1-ლ მაისამდე) საღამოს 6 საათ.

5) მოვაჭრენი, რომელთაც მოისურვებენ ნორმალურ დროის შემდეგ ამ დადგენილების შეხებით მეხლით გათვალისწინებულ დროშიც ვაჭრობას ვალდებული არიან განეცადებინათ მიმართონ აღმასკომის საფინანსო განყოფილებას და დაწესებული გადასახადი მიიღონ სათანადო მოწმობა, რომელიც უნდა გამოაკრან თავიანთ საავაჭროში თვალსაჩინო ადგილზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სატრაქტიორო დაწესებულებათა მეპატრონენი შეიცემით გვიან ვაჭრობის ნებართვა მხოლოდ მილიციის სამმართველოდან სათანადო ნებართვის წარმოდგენის შემდეგ.

6) ამ დადგენილების მეექვსე მუხლში აღნიშნულ ნებართვის მიღებულად ან და დაწესებულ დროის შემდეგ გვიან ვაჭრობისათვის დამნაშავენი დაეკისრებიან ოქმებით გადასახადზე სამკერ მეტი თანხით, რომელიც გადახდება იძულებითი წესით.

7) მილიციის სამმართველოს ევალება თვალყური ადევნოს ამ დადგენილების სწორ-უცილებლად ცხოვრებაში გატარებას.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

მდივანი თიკანაძე.

რ. ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატი

ტფილისის განყოფილება.

სომხის ბაზარი № 6 ტელეფონ. 4—35.

საგითუმო სანაქრო მაღაზია

სააგენტოები

1) ერევანში — კრეპოსტნაია 9.

2) ბათუმში — სტალინის ს ხელობის 6.

3) თავრიზში — ქარვასლა „ამირი" № 28.

სრული არჩევა სხვა და სხვა გვარ ძსოვილებისა:

მატყლის, ბამბის, სელის და აბრეშუმის ქაფების სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატიულ დაწესებულებებს განსაკუთრებული დათმობა.

ვაჭრობა გითუმად და ნაჭრობით.

ტფილ. განყოფილების გამგე: ა. თ. როჟდესტვენსკი.

სახელმწიფო დაზღვევა.

ცნობილება ყველას საყურადღებოდ, რომ ბაქო-ქვესაღების სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო აწარმოებს დაზღვევის ოპერაციებს შემდეგ სტატიურ უმდურებებიდან:

ა) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველ-გვარ ქონებათა, რომლებიც ეკუთვნიან სახელმწიფო, კომუნალურ და კოოპერატიულ დაწესებულებებს და კერძო პირებს;

ბ) სატრანსპორტო დაზღვევა ყოველ-გვარ ტვირთისა, რომელიც იმყოფება გზაში (გადატან-გადმოტანის დროს) დაკარგვისა და მოპარვისთვის პასუხისმგებლობით;

გ) დაზღვევა „კასკო" (ეგ ების კორპუსე'ის);

დ) საგადანაკვეთო (накладное) **სავალდებულო დაზღვევას** ცე ხ ისაგან იყარიან გაცემულ ქონებისას;

ე) არა საგადანაკვეთო (не накладная) **სავალდებულო დაზღვევას** ცეცხლისაგან იყარიან გაცემულ ქონებისას;

ვ) ნებაყოფილობითი დაზღვევას სასოფლო სამეურნეო კულტურებისას სეტყვისაგან.

დაზღვევის მიღება სწარმოებს:

1. **ტფილისში** — ა. კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში, სოლოლაკის ქუჩა, № 8, ტელ. 15 - 24.

2. **სახ. დაზღვევის აზერბეიჯანის** კანტორაში ქ. ბაქოში (გორჩაკოვის ქ. № 15);

3. **სახელმწიფო დაზღვევის სომხეთის** კანტორაში ქ. ერევანში (რაფფის ქ. № 40);

4. **სახელმწიფო დაზღვევის აჭარის** მთავარ სააგენტოში ქ. ბათომში;

5. **რუსეთის სახელმწიფო ბანკის კანტორებთან და განყოფილებებთან დაარსებულ სააგენტოებში** — ტფილისში, ბათომში, ქუთაისში, ერევანში, ბაქოში და სოხუმში;

6. **აზერბეიჯანის სახელმწიფო ბანკთან და ბაქოს საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებასთან** — ბაქოში;

7. **სომხეთის სახელმწიფო ბანკთან** ერევანში;

8. **აზერბეიჯანის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკთან** — ნახიჩევანში;

9 **აგრეთვე უველა სააგენტოებში:** საქართველოს **უველა ქალაქებში;** სომხეთში — ალექსანდროპოლში; და აზერბაიჯანში — **განჯაში, ლენქორანში და ყუბაში.**

ახალი ფასდაკლებული

პრეისკურანტი

მიწადმოქმედების კომისარიატის

სახალხო ღვინის სარდაფისა

21 დეკემბრიდან 1923 წ.

ნაფარეული	№№ 66 და 47	აქციზით	ჩერვ.	კაპ.		45
წინანდალი	„ 64 „ 45	„	„	„		60
მუკუზანი	„ 65 „ 46	„	„	„		45
თელიანი	„ 48	„	„	„	1—	40
აფხანაური	„ 55 „ 75	„	„	„		30
სუფრული	„ 22 „ 18	„	„	„		30
ღვინოები 1917 წლ. და უძველესი ამაზე				„	2—	00
შამპანიური—2 მან. და აქციზი 1—35				„	3—	35
ცარიელი ეუთი ჩაწყობით			„	„	2—	50
ჭურჭელი შუშის, ღვინის ან კონიაკის			„	„		15
„ „ შამპანიური			„	„		20

ბითუმად მოვაჭრეებს დაეთმობათ 10%

441/394
15-

საქართველოს რესპუბლიკის წითელ ჯვრის საზოგადოების

ახლად გახსნილი

სტამბა

დუმბაძის სახელობის ქ. № 3

(ყოფ. ფელიაშინოვისა).

იღებს ყოველგვარ სასტამბო და ლიტოგრაფიულ შეკვეთებს

ოპერატიულებას სწრაფად და იაფად

იღებს შეკვეთებს საკანცელარიო ნივთების დამზადებისთვის

წით. ჯვრის პრეზიდიუმი